



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის
ექსპერტთა დასკვნა
სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვიჩი-კარმენ სტანჩიუ, "I.L. Caragiale" თეატრისა და კინოს ეროვნული უნივერსიტეტი, ბუქარესტი, რუმინეთი

წევრები:

ლევან ცაგარელი, სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

თამარ ძველაია, სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი, საქართველო

ნინო მინდიაშვილი, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი,

საქართველო

ნინო ალაგიძე შპს ალტე უნივერსიტეტი, საქართველო

ია ბუცხრიკიძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო.

თბილისი

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი არის საჯარო დაწესებულება. იგი შექმნილია და იმართება უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

უნივერსიტეტის სტრუქტურები შეესაბამება ბოლონიის პროცესს და უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეს სტრუქტურისა (სამ საფეხურიანი სწავლება) და ღირებულებების (ტოლერანტობაზე და მიმდებლობაზე მყარად აგებული აკადემიური საზოგადოების მრავალფეროვნება) გათვალისწინებით.

უნივერსიტეტი ხელოვნების სფეროში საქართველოს მოწინავე საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ამჟამად შემოთავაზებულ 35 პროგრამაზე სულ 1188 სტუდენტი ირიცხება (668 აქტიური სტატუსით + 520 შეჩერებული სტატუსით). უნივერსიტეტს აქვს სამი ფაკულტეტი, ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და საგანმომცემლო სახლი. ფაკულტეტები მხარს უჭერენ პირველი საფეხურის თოთხმეტ (ბაკალავრიატი) და მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) 12 სასწავლო პროგრამას, 8 სადოქტორო პროგრამას და 1 ქართული ენის მოსამზადებელ საგანმანათლებლო პროგრამას. უნივერსიტეტის ძირითადი კვლევითი მიმართულებები ასევე ასახავს მის ძირითად სფეროებს (ხელოვნებას), მხატვრული ინფრასტრუქტურის ფართო სპექტრით (თეატრები, სატელევიზიო სტუდიები და ლაბორატორიები) და სხვა საჭირო ობიექტებით. უნივერსიტეტის ძირითადი კვლევითი მიმართულებები ასევე ასახავს ამ ძირითად სფეროებს, თეატრის, კინოსა და მედიის ობიექტების ფართო სპექტრით და ლაბორატორიებით, რომლებიც მხარს უჭერს თეორიულ და პრაქტიკულ კვლევებს ხელოვნებასა და ინტერდისციპლინურ სფეროებში (მაგ. კულტურული ინდუსტრიები, ანთროპოლოგია).

თავისი სასწავლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობით, თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი არის დიდი წვლილის შემტანი დინამიურ რეგიონულ და ეროვნულ კონტექსტში, მათ შორის საერთაშორისო ღონისძიებების საშუალებით, რომლებსაც უნივერსიტეტი ატარებს.

საავტორიზაციო შეფასების პროცესის მოკლე მიმოხილვა: თვითშეფასების ანგარიში და ვიზიტი

ეს ანგარიში არის ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესის შედეგი, რომელიც განხორციელდა ექსპერტთა დამოუკიდებელი ჯგუფის მიერ (შემდგომში- ექსპერტთა ჯგუფი / ჯგუფი). ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია; შედგა ადგილზე ვიზიტი; ექსპერტთა ჯგუფი პასუხისმგებელია ყველა სტანდარტთან მიმართებით გამოტანილ დასკვნაზე.

თვითშეფასების პროცესი ჩატარდა თვითშეფასების ჯგუფის მიერ, რომელსაც თავმჯდომარეობდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების (აკადემიური საბჭო და წარმომადგენლობითი საბჭო) წარმომადგენლებით, ძირითადი და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებით (ფაკულტეტები, ბიბლიოთეკა, დეპარტამენტები და სამსახურები), აკადემიური და სამეცნიერო პერსონალით, სტუდენტებით, კურსდამთავრებულებით და დამსაქმებლებით. უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიში ხაზს უსვამს უნივერსიტეტის ძლიერ მხარეებს ავტორიზაციის თითოეულ სტანდარტთან მიმართებაში; წარმოაჩენს გასაუმჯობესებელ მხარეებს, რომლებიც შეიძლება განიხილებოდეს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის ან სამოქმედო გეგმის კონტექსტში.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენლების აქტიური კონსულტაციებისა და რჩევების შემდეგ თვითშეფასების ანგარიში დანართებთან ერთად გადაეგზავნა შეფასების ჯგუფს, რომელმაც ანგარიში განსაკუთრებით სასარგებლოდ მიიჩნია დაწესებულებაში ვიზიტამდე, რომელიც შედგა 2014 წლის 11-14 ივნისს.

მხარეთა შორის შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, შეფასების ჯგუფმა ჩაატარა 20 შეხვედრა სხვადასხვა წარმომადგენელთან და დაინტერესებულ მხარესთან. ჯგუფის თავმჯდომარის მოთხოვნით, დაწესებულების ტური დაიგეგმა პირველ დღეს, რადგან სახელოვნებო პროგრამებისთვის

კეთილმოწყობილი ობიექტები (თეატრი, სარეპეტიციო დარბაზები, აუდიო-ვიზუალური სტუდიები, სატელევიზიო სტუდია, მედიისა და კინოს ტექნოლოგიები) უკიდურესად მნიშვნელოვანია. იმავე დღეს, ექსპერტთა ჯგუფი მიიწვიეს, რომ დასწრებოდნენ თეატრალურ წარმოდგენას, რომელიც ეფუძნებოდა ვაჟა-ფშაველას პოემას „სტუმარ-მასპინძელს“. სპექტაკლში მონაწილეობდნენ მსახიობის პროგრამის მესამე კურსის სტუდენტები. ვიზიტის ბოლო დღეს, დამატებითი შეხვედრა დაინიშნა, რომ ქვე-სტანდარტ 7-თან დაკავშირებული გარკვეული ფინანსური ასპექტები დაგვეზუსტებინა. ჯგუფმა ასევე მოითხოვა 46 დამატებითი დოკუმენტი. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან გამართულ ბოლო შეხვედრაზე, ჯგუფმა წინასწარი მიგნებები წარადგინა.

ექსპერტთა ჯგუფს სურს, მაღლობა გადაუხადოს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდსა და სტუდენტებს, რომლებმაც დაგვიტოვეს დრო და ჩაერთნენ გულახდილ და ღია დისკუსიებში. მაღლობა რექტორს მასპინძლობისთვის და თანამშრომლობისთვის; ასევე მაღლობა ვიცე-რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხელმძღვანელის მოადგილეს, რომელთაც დიდი დრო დაუთმეს ექსპერტთა ჯგუფს; მაღლობა ყველას, ვინც ექსპერტთა ჯგუფს მთელი საავტორიზაციო პროცესის განმავლობაში ეხმარებოდა.

ავტორიზაციის პროცესის დასასრულს, ექსპერტთა ჯგუფს სურს დაადასტუროს, რომ 2018 წელს განხორციელებული ბოლო ავტორიზაციის შემდეგ, უნივერსიტეტმა მრავალი მიმართულებით განიცადა პროგრესი. ცხადია, არის ისეთი მიმართულებები, სადაც ბუნებრივია, რომ პროგრესი ნაკლებად სწრაფად მოხდა ან სადაც უფრო მნიშვნელოვანი გამოწვევები რჩება გადასაჭრელი. ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებულია, რომ უნივერსიტეტი ამ ყოველივეს აცნობიერებს და თვითშეფასების პროცესში უკვე გამოავლინეს ასეთი მიმართულებების უმეტესობა. უფრო მეტიც, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს სერიოზული პოტენციალი და იჩენს კიდეც ძალისხმევას, რომ დამატებითი ცვლილებები განახორციელოს; ექსპერტთა ჯგუფი უნივერსიტეტს ამ პროცესში წარმატებას უსურვებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

ქვესტანდარტები, სადაც მიღწეულია სრული შესაბამისობა, არის:

1.1; 3.3; 5.1; 5.2; 7.4.

ქვესტანდარტები, სადაც მიღწეულია არსებითი შესაბამისობა, არის:

1.2; 2.1, 2.3; 3.1; 3.2; 4.1, 4.2; 6.1, 6.2; 6.3; 7.1; 7.2, 7.3.

ქვესტანდარტი, სადაც მიღწეულია ნაწილობრივი შესაბამისობა არის:

2.2.

ქვესტანდარტები, სადაც დაფიქსირდა შეუსაბამობა:

არცერთი

რეკომენდაციები

კომპონენტი 1.2

1. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გადახედოს 2024 - 2030 წლების სტრატეგიულ გეგმას, იმისათვის, რომ დეტალურად განსაზღვროს კონკრეტული მიზნები და ქმედებები, კოორდინატორები და გაზომვადი ძირითადი შესრულების ინდიკატორები (KIP) (შუალედური და საბოლოო), შესრულების ვადები და რესურსების განაწილება;

2. რეკომენდებულია, დაწესებულებამ დააზუსტოს, ფორმალური გახადოს და თანმიმდევრულად განახორციელოს ანგარიშგების მეთოდოლოგია, რაც მას მისცემ შესაძლებლობას თვალყურის ადევნოს სტრატეგიული დაგეგმვის პროგრესს;

3. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს თანმიმდევრული და ინტეგრირებული ურთიერთქმედება / კავშირი სტრატეგიულ და ოპერატიულ მართვას და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას შორის, სადაც ეს უკანასკნელი ხელს უწყობს პირველის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;

კომპონენტი 2.1

4. რეკომენდებულია, დაწესებულებამ 3 წლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული აქტივობისათვის გამოყოს შესაბამისი ფინანსური რესურსები;
5. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ძირითადი ასპექტების და აქტივობების გაზიარება და ინფორმაციის შესაბამის დონეზე გავრცელება ადმინისტრაციულ პერსონალს, წევრებს, ლექტორებს, სტუდენტებს, დამსაქმებლებს და კურსდამთავრებულებს შორის;
6. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები გახდეს ყოვლისმომცველი;
7. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის შეფასების პროცედურები და განსაზღვროს შეფასების პროცედურებზე პასუხისმგებელი პერსონალის ფუნქციები;
8. რეკომენდებულია, მმართველი ორგანოების კანდიდატებმა არჩევნებამდე წარმოადგინონ თავიანთი ხედვა და გეგმები;
9. რეკომენდებულია, დაწესებულებამ პრაქტიკის შესაბამისად განახორციელოს ცვლილება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სამუშაო აღწერილობაში;
10. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს QMS მონაცემთა ბაზის გამართული ფუნქციონირება;
11. რეკომენდებულია, დაწესებულების ბიზნეს უწყვეტობის გეგმაში გათვალისწინებული იყოს პანდემიური სიტუაციების და სოციალურ - პოლიტიკური დაძაბულობის შესაძლო რისკები, მათი წარმოშობის შემთხვევაში;
12. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ბიზნეს უწყვეტობის გეგმაში განსაზღვროს კრიზისულ სიტუაციაში, მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით სათანადო პერსონალი და ქმედებები;

კომპონენტი 2.2

13. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის განხორციელების მიზნით დაასაქმოს ან დანიშნოს შესაბამისი პერსონალი.
14. რეკომენდებულია, დაწესებულებამ განსაზღვროს საზოგადოების განვითარების და ცოდნის გავრცელების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შეფასების პრინციპები.
15. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის ყოვლისმომცველი მექანიზმები.
16. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის პოლიტიკა და პროცედურები.
17. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შინაგანაწესთან შესაბამისობის მიზნით გაზარდოს დამხმარე სივრცე.
18. რეკომენდებულია, დაწესებულებამ განახორციელოს ცვლილება „სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესში“ ისე, რომ მასში განისაზღვროს პროგრამის სპეციფიკური სამიზნე ნიშნულები.

კომპონენტი 2.3

19. რეკომენდებულია, დაწესებულებამ განაახლოს ან შეიმუშაოს ახალი ხელშეკრულება პლაგიატის გამოვლენის იმავე ან სხვა პროგრამული უზრუნველყოფის მომწოდებელთან;
20. რეკომენდებულია, დაწესებულებამ უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე განათავსოს „ეთიკის კოდექსი“, „სტუდენტების ეთიკის კოდექსი“ და „პლაგიატის პრევენციის, გამოვლენის და რეაგირების წესი“ ინგლისურ ენაზე;

კომპონენტი 3.1

21. რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამები შრომის ბაზარზე მოთხოვნადი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით;
22. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ საჭიროა ყველა პროგრამის მსგავსი პრეზენტაცია;

კომპონენტი 3.2

23. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გადახედოს არჩევითი საგნების სიას და უზრუნველყოს მათი გამრავალფეროვნება სტუდენტების მოთხოვნის შესაბამისად, რაც სტუდენტებს მისცემს საშუალებას აირჩიონ საგანი არა მხოლოდ ერთი კონკრეტული პროგრამის ფარგლებში, არამედ მომიჯნავე პროგრამებიდანაც.

კომპონენტი 4.1

24. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წახალისოს თავისი აკადემიური და კვლევითი პერსონალი აქტიური მონაწილეობა მიიღონ კვლევით, შემოქმედებით და საშემსრულებლო პროცესებში შემოქმედებითი პროექტების ინიცირებით და მათთვის დაფინანსების შესაძლებლობების (კონკურსები, დაფინანსების მოზიდვა) მიწოდებით;

25. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დეტალურად შეიმუშაოს მისი პერსონალის პროფესიული განვითარების მიდგომები და სტრატეგია;

26. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პერსონალის მართვის დღის წესრიგში გაითვალისწინოს ანაზღაურების და წახალისების წინასწარ განსაზღვრული პრინციპები, ასევე თანამშრომლების საქმიანობის შესრულების შეფასების შედეგები;

27. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროცედურა, ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრირების და მათი სამუშაო პროცესში ეფექტური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით.

28. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პერსონალის მართვის პროცესში გამოიყენოს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების და კმაყოფილების კვლევის შედეგები;

კომპონენტი 4.2

29. რეკომენდებულია, უნივერსიტეტი შეეცადოს მიაღწიოს ან გააუმჯობესოს მისი პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს სამიზნე ნიშნულები;

30. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალის უკუკავშირის საფუძველზე უზრუნველყოს სამუშაო დატვირთვის სქემის განახლება რეგულარულ რეჟიმში;

კომპონენტი 6.1

31. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სისტემატურ რეჟიმში უზრუნველყოს სამეცნიერო ხელმძღვანელების და დოქტორანტების მომზადება საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმატსა და ძირითადი მახასიათებლებთან დაკავშირებით;

32. რეკომენდებულია, რომ ყველა სადისერტაციო ნაშრომი შეესაბამებოდეს უსდ - ს მიერ დადგენილ „წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტს“;

კომპონენტი 6.2

33. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სამეცნიერო კვლევის განვითარების და მოტივაციის მოქნილი სისტემა;

34. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს ისეთ პერსონალს, რომელთა სამეცნიერო პროდუქტი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს დარგის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს საერთაშორისო აღიარებას (ამ კუთხით მათ შეუძლიათ მოიზიდონ ახალი სამეცნიერო კადრები);

კომპონენტი 6.3.

35. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს თანმიმდევრულად დაგეგმილი სტრატეგია კვლევითი საქმიანობის ხარისხის გაზრდის მიზნით; ასევე წახალისების (რეაგირების) სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის მოტივაციის ამაღლებას, ასევე ანალიზის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრას, აუცილებელია იმ პროფესორების კვლევით საქმიანობაზე რეაგირება, რომლებმაც არ შეასრულეს დაკისრებული მოვალეობა;

კომპონენტი 7.1

36. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს ჯანდაცვის ობიექტები;

კომპონენტი 7.2

37. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს, განახორციელოს და პერიოდულად გაანალიზოს გამოკითხვა, სტუდენტების და მასწავლებლების სასწავლო რესურსებით და ობიექტებით კმაყოფილების შეფასების მიზნით;

კომპონენტი 7.3

38. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი იყოს, ყველა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ვებ - გვერდის როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან ვერსიებზე.

რჩევები

კომპონენტი 1.2

1. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს ინტერნაციონალიზაციის / ინსტიტუციური თანამშრომლობის სტრატეგია, იმისათვის, რომ მიმართოს ინსტიტუციური ძალისხმევა აღნიშნული მიმართულებით;
2. სასურველია, უნივერსიტეტმა გაზარდოს ინსტიტუციური ძალისხმევა და დაფინანსება, სტუდენტების და პერსონალის საერთაშორისო მობილობის გაზრდის მიზნით.

კომპონენტი 2.1

3. სასურველია, უნივერსიტეტმა სტუდენტებს და ლექტორებს მისცეს დოკუმენტების გაგზავნის და მიღების შესაძლებლობა TAFU.ini.ge - ს მეშვეობით;
4. სასურველია, უნივერსიტეტმა ბიუჯეტის ფარგლებში გაითვალისწინოს ხარჯები სასწავლო პროცესში საერთაშორისო პერსონალის ჩართვისთვის.
5. სასურველია, უნივერსიტეტმა ქართველ და საერთაშორისო კოლეგებთან ერთად შეიმუშაოს საერთაშორისო პროექტების წინადადებები.

კომპონენტი 2.3

6. სასურველია, დაწესებულებამ აამაღლოს ინსტიტუციური ცნობიერება აკადემიური კეთილსინდისიერების (მათ შორის, თაღლითობა და პლაგიატი) მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში არსებული სანქციების შესახებ.
7. სასურველია, დაწესებულებამ გაზარდოს პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფის ინსტიტუციური ხილვადობა და სავალდებულოდ დაადგინოს მისი გამოყენება შეფასების პროცესში.

კომპონენტი 3.1

8. სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის დაგეგმვისა და განხილვის პროცესში, განახორციელოს შედარება საქართველოში და საერთაშორისო დონეზე მოქმედ მსგავს პროგრამებთან, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულების საერთაშორისო კავშირების და თანამშრომლობის პოტენციალის გაზრდას.
9. სასურველია, უნივერსიტეტმა სტუდენტებს მისცეს შესაძლებლობა სრულად დაეუფლონ პრაქტიკულ კურსებს, მაღალკვალიფიციური კადრების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მომზადების მიზნით.
10. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სხვადასხვა სახის შემოქმედებითი ღონისძიება, იმისათვის, რომ დამსაქმებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა დააკვირდნენ მომავალ პერსონალს.

კომპონენტი 3.2

11. სასურველია, უნივერსიტეტმა სილაბუსებში მიუთითოს მრავალფეროვანი და განახლებული ლიტერატურა (საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე).
12. სასურველია, უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამებში დააზუსტოს ინფორმაცია კრედიტების განაწილების შესახებ.
13. სასურველია, უნივერსიტეტმა ძირითად და არჩევით კურსებში განსაზღვროს კრედიტების რაოდენობა.
14. სასურველია, უნივერსიტეტმა სასწავლო გეგმაში განსაზღვრული თანამედროვე სწავლების მეთოდები სრულად ასახოს სილაბუსებში.
15. სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს პედაგოგიური მოდულის საგნები იმ პროგრამებში, რომლებიც ამზადებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლებს, იმისათვის, რომ სკოლაში შემსვლელი მასწავლებლები ფლობდნენ შესაბამის უნარებს..

კომპონენტი 3.3

16. სასურველია, უნივერსიტეტმა წარმოდგენილ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში მკაფიოდ ჩამოაყალიბოს სწავლის შედეგები.
17. სასურველია, საბაკალავრო შემოქმედებით პროგრამებში, საბაკალავრო ნაშრომი ითვალისწინებდეს კვლევის კომპონენტის ელემენტებსაც, იმისათვის, რომ სტუდენტებმა გამოიმუშაონ სამეცნიერო საქმიანობის ელემენტარული უნარები..

კომპონენტი 4.1

18. სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს წვდომა პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ

რეგულაციებზე, იმისათვის, რომ დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ ინფორმაცია აღნიშნული პოლიტიკის და რეგულაციების შესახებ.

19. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გარკვეული ხედვა, სამიზნე ნიშნული აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის ასაკის და სქესის მიხედვით განაწილებასთან დაკავშირებით.

კომპონენტი 4.2

20. სასურველია, უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება დაუთმოს აფილირების წესებს და პირობებს, აფილირებული აკადემიური პერსონალის მთლიანი რაოდენობის ზუსტად აღრიცხვას და აფილირების წესების და პირობების ხელშეკრულებებში ასახვას..

კომპონენტი 5.2

21. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ქართულენოვანი სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა;

22. სასურველია, სტუდენტებისთვის სილაბუსებში საკონსულტაციო საათების მითითება.

კომპონენტი 6.1

23. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შესავალი ნაწილის სტრუქტურას, სამეცნიერო ნაშრომში მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს კვლევის თეორიული ჩარჩო, მეთოდები და მეთოდოლოგია, ლიტერატურის მიმოხილვა, სამეცნიერო სიახლე და კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, ასევე დაცული უნდა იყოს ციტირების სტანდარტი;

24. სასურველია, უნივერსიტეტმა ჩაატაროს ფუნდამენტური კვლევები, რომელიც შეიტანს წვლილს ეროვნულ/საერთაშორისო დონეზე;

25. სასურველია, უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო საქმიანობაში გაითვალისწინოს უსდ - ს აკადემიური / სამეცნიერო პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები.

26. სასურველია, უნივერსიტეტმა ზედმიწევნით განსაზღვროს სამეცნიერო ხელმძღვანელის უფლება - მოვალეობები, ასევე განახორციელოს შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი.

კომპონენტი 6.2

27. საერთაშორისო აღიარების მოპოვების მიზნით, სასურველია უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიურმა პერსონალმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო საქმიანობაში და არ შემოიფარგლონ უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ჟურნალებით და კონფერენციებით.

28. სასურველია, უნივერსიტეტმა გაზარდოს კვლევით საქმიანობაში მისი ჩართულობის ეფექტურობა.

29. სასურველია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს დაფინანსების მოზიდვის ეფექტურ ადმინისტრირებას.

30. საერთაშორისო აღიარების მოპოვების მიზნით, სასურველია უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიურმა პერსონალმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო საქმიანობაში და არ შემოიფარგლონ უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ჟურნალებით და კონფერენციებით.

კომპონენტი 6.3

31. სასურველია, უნივერსიტეტმა გამოიყენოს კვლევის/შემოქმედებითი ხარისხის ეფექტურობის შეფასების ანალიზი შემდგომი განვითარების ახალი სტრატეგიის დასაგეგმად.

კომპონენტი 7.1

32. სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ცალკე ბიუჯეტი / დაფინანსების მოძიების მიზნით განხორციელებული აქტივობები დაეხმარება კინოსა და ტელევიზიის ფაკულტეტის აღჭურვილობის განახლებას (სამონტაჟო პორგრამული უზრუნველყოფა, კამერები და ა.შ.).

33. სასურველია, უნივერსიტეტმა გაზარდოს ძალისხმევა სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო რესურსების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

კომპონენტი 7.2

34. სასურველია, უნივერსიტეტმა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებების ინფრასტრუქტურის და ობიექტების მოწყობისთვის, სპეციალური ფიზიკური და საგანმანათლებლო სირთულეების მქონე სტუდენტების და პერსონალის განთავსების მიზნით.

კომპონენტი 7.3

35. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფის

ინსტიტუციური ხილვადობის გაზრდა და შეფასების პროცესში მისი სავალდებულო გამოყენება.

კომპონენტი 7.4

36. სასურველია, უნივერსიტეტმა მოიპოვოს დამატებითი საგრანტო დაფინანსება, იმისათვის, რომ აღმოფხვრას ბიუჯეტში არსებული ხარვეზები მომავალში უფრო მაღალი ჩარიცხვის მოლოდინში (თუმცა საგრანტო დაფინანსება ხშირად მოკლევადიანია და შესაძლოა ვერ გადაჭრას სტრუქტურული დეფიციტი).

საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

კომპონენტი 1.2

- სტუდენტებსა და აკადემიურ საზოგადოებას (პროფესორები, პერსონალი) შორის შესანიშნავი ურთიერთობა, ადასტურებს ნამდვილი მენტორული კულტურის არსებობას.

კომპონენტი 7.3

- მაღალი ხილვადობა სოციალურ მედიაში, რომელიც რეგულარულად და თანმიმდევრულად ახლდება.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☐	☒	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☐	☒	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4	უსდ-ის პერსონალი	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების, განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐

5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6	კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☒	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☒	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	ინფორმაციული რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☒	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ვიჩი-კარმენ სტანჩიუ (თავმჯდომარე)
2. ლევან ცაგარელი (წევრი)
3. თამარ ძველაია (წევრი)
4. ნინო მინდიაშვილი (წევრი)
5. ნინო ალავიძე (წევრი)
6. ია ბუცხირიკიძე (წევრი)

ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობა

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია

უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სფეროსა და საზოგადოებაში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის მისია აღწერს მის პროფილს, სტრატეგიას და ამოცანებს. ის საჯაროდაა გამოქვეყნებული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებულ პირთათვის.

მისია მითითებულია ორ დოკუმენტში: საწყისი ვერსია დაამტკიცა აკადემიურმა საბჭომ 2017 წლის 20 ნოემბერს; მეორე არის შესწორებული გამოცემა - „მისია და ხედვა – თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის გზა ხელოვნებისკენ – PATH TO THE ART“ , რომელიც მიღებულია შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2018 წლის 17 თებერვლის №4 განკარგულებით.

მიღებული მისია ასეთია:

„უნივერსიტეტის მისიაა - ხელოვნების დარგების განვითარება და კვლევა, ხელოვნების დარგების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და პროფესიონალების აღზრდა. უნივერსიტეტი წარმოადგენს სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, ხელოვანთა, მკვლევართა, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მჭიდრო კავშირს, რომელთა ერთიანი, ჰარმონიული თანამშრომლობით იქმნება სწავლების, შემოქმედებითი განვითარებისა და სამეცნიერო კვლევების ერთიანი არეალი, ასევე ხელოვნების დარგების (თეატრალური, აუდიოვიზუალური, ქორეოგრაფიული, სამუსიკო) მნიშვნელოვანი და მდგრადი განვითარების საფუძველი ქვეყნის მასშტაბითა და საერთაშორისო ასპარეზზე. უნივერსიტეტის მისიაა იქცეს გამოცდილების გაზიარების, ახალგაზრდა შემოქმედთა ურთიერთობების და კულტურათა დიალოგის საერთაშორისო ცენტრად.“

ხედვის თვალსაზრისით , „სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი 2024 წლისათვის არის სახელოვნებო პროფილის მდიდარი ტრადიციების მქონე, უნიკალური და განვითარების თანამედროვე ხედვაზე ორიენტირებული, ცნობადი და აღიარებული უნივერსიტეტი, რომელიც შემოქმედებითი განვითარების, სწავლა-სწავლებისა და კვლევების ინოვაციური მეთოდებით, საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სასწავლო კურსებით, საგანმანათლებლო პროგრამებითა და შემოქმედებითი პროექტებით, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიის, ტურიზმისა და მენეჯმენტის სფეროში აქტუალური კვლევებითა და მრავალფეროვანი ხარისხიანი სერვისებით უპასუხებს თანამედროვეობის მნიშვნელოვან გამოწვევებს, ემსახურება ხელოვნების დარგების განვითარებას (...)"

აკადემიური საზოგადოების მიერ გაზიარებული ღირებულებებია: აკადემიური პერსონალის, პროგრამის განმახორციელებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის უწყვეტი განვითარება; უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერას განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ინფრასტრუქტურითა და ევროპული სტანდარტების შესაბამისი ადამიანური რესურსებით; აკმაყოფილებს სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

სტუდენტების/მსმენელების საჭიროებებს და ქმნის ხელსაყრელ პირობებს მათი სწავლის ხელშესაწყობად; ხელს უწყობს სტუდენტებისთვის კლასგარეშე აქტივობების განხორციელებას თავისი იურისდიქციის ფარგლებში; ხელს უწყობს მხატვრულ განათლებას; ქმნის აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპებზე დაფუძნებულ საგანმანათლებლო გარემოს. გაცხადებული მისიის თანახმად, უნივერსიტეტი ისწრაფვის, რომ შეინარჩუნოს საკუთარი პოზიცია, როგორც საქართველოში ხელოვნების დარგის ტოპ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და დაიკავოს მოწინავე პოზიცია ეროვნულ დონეზე, კავკასიის რეგიონში, ევროპასა და აზიაში არსებულ უსდ-ებს შორის. ის მიზნად ისახავს თანასწორობის, ტოლერანტობისა და ჰარმონიული თანამშრომლობის პრინციპების და უპირველეს ყოვლისა ინდივიდუალური შემოქმედებითი განვითარების პრინციპის ხელშეწყობას სტუდენტის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენით. უნივერსიტეტის მისიის ქვაკუთხედი, რომ ჰყავდეს კურსდამთავრებული პროფესიონალები, რომლებიც არიან კრიტიკული მოაზროვნეები, უწყვეტად იღებენ განათლებას და აქტიური მოქალაქეები არიან საზოგადოებაში; უნივერსიტეტს აქვს კარგად ჩამოყალიბებული მიზნების განაცხადი, რომელიც ასახავს ღირებულებებსა და როლებს. მისია აშკარად აღწერს უნივერსიტეტის მიზანს, რომელიც მოქცეულია აღიარებული აკადემიური სივრცისა და/ან დისციპლინების ფარგლებში. უნივერსიტეტი დაარსდა 1923 წელს, ხელოვანების მიერ, ხელოვანთათვის პრაქტიკული განათლების მისაცემად. უსდ-ს მისია და მისწრაფებები დღემდე ერთგულია უნივერსიტეტის მემკვიდრეობისა. მისია და ძირითადი ღირებულებები გასაგებია და მარტივად ხდება მათი კომუნიკაცია ინსტიტუციურ საზოგადოებასა და მის კომპონენტებში. ექსპერტთა ჯგუფის დაკვირვებით, თითოეული აკადემიური ერთეული (ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა) საკუთარ მისიას, საგანმანათლებლო მიზნებსა და კურსის ამოცანებს უკავშირებს საერთო საუნივერსიტეტო მისიას. საგანმანათლებლო მიზნები ფართოდ აღიარებულია უნივერსიტეტში და შეესაბამება გაცხადებულ მიზანს. უნივერსიტეტის მისია და ხედვა მკაფიოდ არის განსაზღვრული. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ისინი გამჭვირვალედ და მრავალფეროვნად არის ინტეგრირებული. უნივერსიტეტის სხვადასხვა სტატუსს ჯგუფებთან გასაუბრების დროს, აშკარა იყო, რომ უნივერსიტეტის მისია ასახულია ფაკულტეტის სტრატეგიებში და გაზიარებულია უნივერსიტეტის ყველა სტატუსს ჯგუფთან. ექსპერტთა ჯგუფი თანხმდება, რომ უნივერსიტეტის მისია და მიზნების განაცხადი შეესაბამება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას და მკაფიოდ განსაზღვრავს არსებით ღირებულებებსა და იმ ზომებს, რითაც ის წვლილს შეიტანს საზოგადოებრივ კეთილდღეობაში.	
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში უსდ-ს მისიის განაცხადი უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგია (2024-2030) გასაუბრების შედეგად მიღებული დასკვნები	
რეკომენდაციები: არ ეხება	
რჩევები: არ ეხება	
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება	
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	
1.2 სტრატეგიული განვითარება	
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (7-წლიანი) და სამოქმედო (3-წლიანი) გეგმები. ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას დაწესებულებაში დაგროვებულ ცოდნას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას.	

- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტი ერთიანი და ფოკუსირებულია თავის სტრატეგიაზე. უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმა 2024-2030 სასწავლო წლებისთვის დაეფუძნა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას (დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 5 მარტის N3 ოქმის გადაწყვეტილებით) და საჯაროდ ხელმისაწვდომია უსდ-ს ვებგვერდზე.

სტრატეგიული გეგმა შემუშავდა თანამშრომლობითი პროცესით, რომელშიც მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, პროგრამის განმახორციელებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პარტნიორი ორგანიზაციები და სხვა დაინტერესებული მხარეები. იგი ასევე ეფუძნება 2018-2024 წლების სამოქმედო გეგმების შედეგებს. სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე, ჩატარდა შიდა SWOT ანალიზი და ხარვეზების ანალიზი, რათა უსდ დარწმუნებულიყო, რომ სტრატეგია არის რეალისტური და ჰყავს ადეკვატური ადამიანური და დამხმარე რესურსი, ისევე როგორც შესაბამისი ინფრასტრუქტურა.

მკაფიოდ გააცნობიერა რა თავისი კრიტიკული სისუსტეები, უნივერსიტეტმა გამოავლინა შვიდი მიმართულება, რომელიც 2030 წლამდე სტრატეგიულ დაგეგმვაში განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. კერძოდ: ორგანიზაციული განვითარება, აკადემიური/პროფესიული პროგრამების შემუშავება, ინფრასტრუქტურის, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების გაძლიერება; სტუდენტები/მსმენელები და მათი დამხმარე სერვისები; უსაფრთხო სამუშაო და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა; საზოგადოებასთან ურთიერთობა და შემოქმედებითი/სოციალური პროექტები; კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა. დოკუმენტი ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიაში ასახულ მიზნებს, განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებას, უმაღლესი განათლების ინსტიტუციური ავტორიზაციის სტანდარტებს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის დოკუმენტს. სტრატეგიული ამოცანები არის ამბიციური და მიღწევადი.

სტრატეგიული გეგმის პრაქტიკული განხორციელება სათანადოდ არის აღწერილი 3-წლიან სამოქმედო გეგმაში (2024-2027 წწ.). ჯგუფის მიერ ჩატარებული შეხვედრების თანახმად, არ არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას აქვს ეფექტიანი როლი დაწესებულების სტრატეგიული და ოპერაციული მენეჯმენტის მხარდასაჭერად, რომ უზრუნველყოფს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების პროცესს და უზრუნველყოფს უკუკავშირის ციკლის დახურვას, შედეგად კი მონაცემების ეფექტურად გამოყენებას. სტრატეგიული გეგმა არ გვთავაზობს დამატებით დეტალურ კონკრეტულ მიზნებსა და ქმედებებზე, კოორდინატორებსა და გაზომვად ძირითად მიზნებზე, სამიზნე ნიშნულებსა და შესრულების მტკიცებულებებზე (Key objectives, Benchmarks and Proofs of performance) (შუალედური და საბოლოო), ვადებსა და რესურსების განაწილებაზე.

სწავლებისა და სწავლის კუთხით თეატრის და კინოს უნივერსიტეტის მიზანია სტუდენტზე ორიენტირებული განათლების უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის მიზნებისა და მათი მიზნობრივი სწავლის შედეგების მეშვეობით.

ცოდნის, უნარების შეძენა და ტრანსგრესიული დამოკიდებულება მიზნად ისახავს სტუდენტების მომზადებას უნივერსიტეტის დამთავრების შემდგომი ცხოვრებისა

და საზოგადოების გამოწვევებისთვის.

სწავლება და კვლევა ეფუძნება მეცნიერული მეთოდების პრინციპებს, მათ შორის ანალიტიკურ და კრიტიკულ აზროვნებას სასწავლო გეგმების მიწოდების განმავლობაში, რომელიც ვითარდება მტკიცებულებებზე დაფუძნებული შინაარსისა და ასევე ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით.

საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები მიზნად ისახავს ეროვნული, რეგიონული და საერთაშორისო საზოგადოებების საჭიროებებზე რეაგირებას. ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, უნივერსიტეტი ხელს უწყობს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობებს პროფესორ-მასწავლებლების, პერსონალისა და სტუდენტებისთვის.

სხვადასხვა პროექტის, ინიციატივისა და პირადი ჩართულობის მეშვეობით, უნივერსიტეტი რეგულარულ კონტაქტზეა უნივერსიტეტებთან შესაბამის სამთავრობო და სოციალურ სექტორთან. უნივერსიტეტმა ეს კავშირები გააფართოვა, კერძოდ ბოლო წლების კრიზისების დროს და კიდევ უფრო გააძლიერა საზოგადოების ჩართულობა.

მიმდინარე თვითშეფასების ანგარიშმა და ადგილზე გამართულმა დისკუსიებმა ნათლად გვაჩვენა, რომ მიზნებისკენ სწრაფვას თან ახლავს და კონტროლდება ყოველწლიური სისტემატური მონიტორინგით. მონიტორინგი ეფუძნება შესრულების ძირითად ინდიკატორებს, რომლებიც განსაზღვრულია სტრატეგიულ გეგმაში. უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილისა და ვიცე-რექტორის მხრიდან, ექვემდებარება მონიტორინგს და პერიოდულ კრიტიკულ შეფასებას, რათა გამოვლინდეს ის მიზეზები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს უნივერსიტეტს საკუთარი მიზნების მიღწევაში.

თავისი პროფილის შესაბამისად, უნივერსიტეტს შეაქვს წვლილი საზოგადოების განვითარებასა და ცოდნის გავრცელებაში შემდეგი აქტივობების დაგეგმვით და განხორციელებით: თეატრი, ცეკვა და მუსიკალური წარმოდგენები, სატელევიზიო პროდუქცია, დოკუმენტური და მხატვრული ფილმები, მედია პროდუქტები, გამოფენები, ბეჭდური პროდუქტები, კონფერენციები, აკადემიური, სახელოვნებო და პროფესიული შეხვედრები. ასევე, პერსონალის წევრები არიან თავიანთი პროფესიის სახელოვნებო დარგის ექსპერტები და მონაწილეობენ სხვადასხვა კულტურულ, სოციალურ და საგანმანათლებლო პროექტში, მენეჯერების, კონსულტანტების ან შემფასებლების რანგში. როგორც ონტოლოგიური ცოდნის ფორმები, თეატრი და კინო (როგორც ყველა ხელოვნება) წარმოადგენს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საუკეთესო საფუძველს. საზოგადოებაში მიმდინარე თვალსაჩინო ცვლილებების შესაბამისად, სახელოვნებო სფეროს სტუდენტები და აკადემიური პერსონალი მოწოდებული არიან მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის და თავიანთი ნიჭის განვითარებაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თანახმად, უნივერსიტეტს აქვს სათანადო პოტენციალი, რომ განავითაროს ტრანსფერი, როგორც მოქმედების სტრატეგიული სფერო, კვლევასთან და სწავლებასთან ერთად. კულტურულ და ბიზნეს თემთან და საზოგადოებასთან ერთად, საზოგადოების მშენებლობა და ცოდნის ტრანსფერთან დაკავშირებული აქტივობები წარმოადგენს შესაძლებლობას, რომ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი გახდეს კიდევ უფრო მიმზიდველი დაინტერესებული მხარეებისთვის, პროფესორებისთვის და ახალი სტუდენტებისთვის საქართველოში, განსაკუთრებით კი საზღვარგარეთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

-თვითშეფასების ანგარიში

-განვითარების სტრატეგია (2024-2030)

-2024-2027 წლების სამოქმედო გეგმა

-დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობა -უნივერსიტეტის წლიური ანგარიშები -სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია -სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მექანიზმები -გამოკითხვის შედეგები - მონიტორინგის შედეგებზე რეაგირება -ინტერვიუები შედეგები
რეკომენდაციები: - რეკომენდებულია, დაწესებულებამ გადახედოს 2024 - 2030 წლების სტრატეგიულ გეგმას იმისათვის, რომ დეტალურად განსაზღვროს კონკრეტული მიზნები და ქმედებები, კოორდინატორები და გაზომვადი ძირითადი შესრულების ინდიკატორები (KIP) (შუალედური და საბოლოო), შესრულების ვადების ცხრილი და რესურსების განაწილება; - რეკომენდებულია, დაწესებულებამ მკაფიოდ, სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად განახორციელოს ანგარიშების მეთოდოლოგია, რაც მას მისცემ შესაძლებლობას თვალყურს ადევნოს სტრატეგიული დაგეგმვის პროგრესს; - რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს თანმიმდევრული და ინტეგრირებული ურთიერთქმედება / კავშირი სტრატეგიულ და ოპერაციულ მართვას და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას შორის, სადაც ეს უკანასკნელი ხელს უწყობს პირველის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას.
რჩევები: - სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს და დაამტკიცოს ინტერნაციონალიზაციის / ინსტიტუციური თანამშრომლობის სტრატეგია, იმისათვის, რომ მიმართოს ინსტიტუციური ძალისხმევა აღნიშნული მიმართულებით; - სასურველია, უნივერსიტეტმა გაზარდოს ინსტიტუციური ძალისხმევა და დაფინანსება, სტუდენტების და პერსონალის საერთაშორისო მობილობის გაზრდის მიზნით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): სტუდენტებსა და აკადემიურ საზოგადოებას (პროფესორები, პერსონალი) შორის შესანიშნავი ურთიერთობა, ადასტურებს ნამდვილი მენტორული კულტურის არსებობას.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ○ უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს თავის სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნებისა და ღონისძიებების განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ დაწესებულების საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ორგანიზაციული სტრუქტურა სრულად არ უზრუნველყოფს ეფექტურ განხორციელებას, იმის გამო, რომ სათანადო ფინანსური რესურსები არ არის წინასწარ განსაზღვრული, რადგან შესაბამისი ფინანსური აქტივები უნდა განისაზღვროს თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებით და დაწესებულებამ უნდა დაიცვას წინასწარ განსაზღვრული აქტივობების განხორციელების ეფექტურობა, ფინანსური რესურსების სწორად ხარჯვასთან მიმართებით.

სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული აქტივობები და მისი მიზნების მიღწევა ბუნდოვანია, რადგან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ლექტორები, დამსაქმებლები, სტუდენტები და კურსდამთავრებულები არ მონაწილეობდნენ დოკუმენტის შემუშავებაში და სუსტია მათი ინფორმირებულობა სტრატეგიული მიზნებით განსაზღვრულ ზუსტ აქტივობებზე. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უნდა გაუზიარონ და დარწმუნდნენ, რომ ეფექტურად მოხდა ლექტორების, სტუდენტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების ინფორმირება სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული ძირითადი ასპექტების და აქტივობების შესახებ.

არსებობს მართვის სისტემის ეფექტურობის შეფასების მექანიზმი, რომელიც განსაზღვრულია „უნივერსიტეტის ეფექტურობის მონიტორინგის, მექანიზმებისა და შეფასების სისტემაში“. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, უნივერსიტეტი აკვირდება მართვის ეფექტურობას და გეგმავს შესაბამის აქტივობებს ერთი და იმავე სახის პრობლემების აღმოსაფხვრელად. მექანიზმი შემოიფარგლება სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილებაზე დაკვირვებით. იმისათვის, რომ მექანიზმები იყოს ყოვლისმომცველი, რეკომენდებულია დაემატოს დეპარტამენტის მუშაობის შეფასების (3-წლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასება) შედეგებზე დაკვირვება, ინდივიდუალური პერსონალის შეფასების შედეგები (ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული) და სხვა.

სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები განისაზღვრება სამუშაოს აღწერილობაში. ფუნქციები და პასუხისმგებლობა მკაფიოდ არის განსაზღვრული და განაწილებული, გარდა პერსონალის შეფასებისა. რეკომენდებულია, რომ ადამიანური რესურსების და კანცელარიის სამსახურმა შეასრულოს ეს ფუნქცია და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დააკვირდეს ანგარიშებს და განახორციელოს ზოგადი ინსტიტუციური შეფასება ამ მიმართულებით მიღებული შედეგების საფუძველზე. გასაუბრების დროს, პერსონალის ზოგიერთმა წევრმა აღნიშნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია მათ შეფასებაზე, ხოლო სხვებმა აღნიშნეს რომ ამ საკითხს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ზედამხედველობს. ადამიანური რესურსების და კანცელარიის სამსახურის სამუშაო აღწერილობაში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, რომ ისინი ზედამხედველობენ შემფასებელ პერსონალს, შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს შემუშავებული და გაზიარებული პერსონალისთვის. მიაწოდეთ პერსონალს ინფორმაცია შიდა შეფასების კრიტერიუმებზე, ინტენსივობაზე, იმის თაობაზე თუ ვის მიერ შეფასდებიან და რა მოხდება შეფასების საფუძველზე.

არსებობს დებულება მართვის ორგანოებში პერსონალის არჩევის/დანიშვნის შესახებ - „უნივერსიტეტის მმართველი ორგანოების არჩევისა და დანიშვნის წესი“. იგი შეესაბამება კანონმდებლობას და საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. აღნიშნული წესის თანახმად, კანდიდატებმა უნდა ჩაატარონ წინასაარჩევნო აგიტაციები და კამპანიები. საბჭოს წევრებთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ „რამდენადაც უნივერსიტეტი პატარაა, ყველამ ყველას შესაძლებლობები იცის, შესაბამისად კანდიდატის ხედვებსა და გეგმებზე დისკუსიები საჭირო არ არის და ასეთი რამ პრაქტიკაში არ მომხდარა. სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, კანდიდატმა არჩევნებამდე უნდა წარმოადგინოს თავისი ხედვა და გეგმები.“

უნივერსიტეტის წესდებით განსაზღვრულია წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოს სხვადასხვა ფუნქცია და მათი პასუხისმგებლობის სფეროები. გასაუბრების და მოწოდებული სხდომის ოქმების თანახმად, აღნიშნული მმართველი ორგანოები გადაწყვეტილებებს იღებენ დროულად და ეფექტურად.

დოკუმენტბრუნვისთვის არსებობს დამტკიცებული (წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, N3; 05.03.2024) მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს დოკუმენტების დამუშავების ყველა ძირითად შესაბამის ასპექტს. ელექტრონული დოკუმენტბრუნვისთვის არის დამკვიდრებული e-Flow სისტემა შიდა და გარე კორესპონდენციისთვის. ადმინისტრაციის თანამშრომლებს აქვთ პირადი ანგარიშები ამ სისტემაში. სტუდენტები მოთხოვნას აგზავნიან/განაცხადი შეაქვთ ელექტრონული ფოსტით მისამართზე info@tafu.edu.ge; კანცელარიის წარმომადგენელი ამ მოთხოვნას ჩამოტვირთავს, ატვირთავს e-Flow -ზე და შემდეგ სტუდენტი კანცელარიიდან გაიტანს ბეჭდურ ვერსიას. გაცილებით უფრო კომფორტული იქნებოდა, თუკი სტუდენტებს tafu.ini.ge-ზე ექნებოდათ შესაძლებლობა რომ მოეთხოვათ და გაეტანათ ზუსტი დოკუმენტები და ერთსა და იმავე ადგილას შეძლებოდათ გამოთხოვაც და პასუხის მიღებაც. აღსანიშნავია, რომ ადამიანური რესურსების და კანცელარიის სამსახურის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობაში მითითებულია რექტორთან ხელმოსაწერად ბრძანებების შეტანა. ადამიანური რესურსების და კანცელარიის სამსახურის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა უნდა შესწორდეს, რომ ემთხვეოდეს პრაქტიკას.

უნივერსიტეტი აწარმოებს „emis“ მონაცემთა ბაზას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი პასუხისმგებელია მონაცემთა ბაზის ფარგლებში სათანადო ინფორმაციის დროულად მიწოდებაზე. ობიექტებზე დაკვირვებისას გაირკვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი ჩარიცხულია QMS მონაცემთა ბაზაში, ის არ მუშაობდა. ამიტომ, აუცილებელია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სათანადო კოორდინაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან, რათა უზრუნველყოს ყველა მოთხოვნილი ინფორმაციის შევსება.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, სადაც ასახულია გათვალისწინებული საფრთხეები, მაგრამ დოკუმენტში არ არის გამოვლენილი პასუხისმგებელი პერსონალი და სათანადო ქმედებები კრიზისის დროს დაწესებულების მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. დოკუმენტში დამატებით უნდა იყოს გათვალისწინებული პანდემიური ვითარების შესაძლო რისკები და სოციალური და პოლიტიკური დაძაბულობის რისკები, მათი აღმოცენების შემთხვევაში. უნდა არსებობდეს მათი პრევენციის მექანიზმები ან რისკების შემსუბუქების სტრატეგია.

არსებობს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელიც განახლებული ფორმით დამტკიცდა აკადემიური საბჭოს მიერ (N32; 25/12/23). პოლიტიკა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და მიზნებს. ინტერვიუების დროს აღინიშნა რომ ყველა საერთაშორისო პროექტი, რომელშიც უნივერსიტეტი ჩართული, შემუშავებულია სხვა ინსტიტუტების მიერ და უნივერსიტეტი ჩართულია, როგორც პარტნიორი. მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა იმუშაოს შეთავაზებების შემუშავებაზე და გახდეს კოორდინატორი უნივერსიტეტი, რადგან მას აქვს დიდი გამოცდილება იმ სფეროებში, რომლებსაც ახორციელებს. გასაუბრების დროს აღინიშნა, ისინი დაასაქმებდნენ დარგის საერთაშორისო წარმომადგენლებს, სასწავლო პროცესში ჩართვის მიზნით, თუმცა ბიუჯეტში არიან შეზღუდულები. ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესში საერთაშორისო კოლეგების ჩართვა.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ თანამშრომლებისა და სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო აქტივობებში ძალიან მაღალია და შედეგებს ლექტორები იზიარებენ საუნივერსიტეტო სამუშაო პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები
- ორგანიზაციული სტრუქტურა
- მართვის ეფექტურობა
- ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა

-ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა - ინტერნაციონალიზაციისა და ეფექტურობის შეფასების მექანიზმები
რეკომენდაციები: - რეკომენდებულია, დაწესებულებამ 3 წლიანი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული აქტივობისათვის გამოყოს შესაბამისი ფინანსური რესურსები. - რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული ძირითადი ასპექტების და აქტივობების გაზიარება და ინფორმაციის შესაბამის დონეზე გავრცელება ადმინისტრაციულ პერსონალს, წევრებს, ლექტორებს, სტუდენტებს, დამსაქმებლებს და კურსდამთავრებულებს შორის. - რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს, რომ მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები გახდეს ყოვლისმომცველი. - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პერსონალის შეფასების პროცედურები და განსაზღვროს შეფასების პროცედურებზე პასუხისმგებელი პერსონალის ფუნქციები. - რეკომენდებულია, მმართველი ორგანოების კანდიდატებმა არჩევნებამდე წარმოადგინონ თავიანთი ხედვა და გეგმები. - რეკომენდებულია, დაწესებულებამ პრაქტიკის შესაბამისად განახორციელოს ცვლილება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის სამუშაო აღწერილობაში. - რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს QMS მონაცემთა ბაზის გამართული ფუნქციონირება. - რეკომენდებულია, დაწესებულების ბიზნეს უწყვეტობის გეგმაში გათვალისწინებული იყოს პანდემიური სიტუაციების და სოციალურ - პოლიტიკური დაძაბულობის შესაძლო რისკები მათი წარმოშობის შემთხვევაში. - რეკომენდებულია, დაწესებულებამ ბიზნეს უწყვეტობის გეგმაში განსაზღვროს კრიზისულ სიტუაციაში, მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით სათანადო პერსონალი და ქმედებები.
რჩევები: - სასურველია, უნივერსიტეტმა სტუდენტებს და ლექტორებს მისცეს დოკუმენტების გაგზავნის და მიღების შესაძლებლობა TAFU.ini.ge - ს მეშვეობით; - სასურველია, უნივერსიტეტმა ბიუჯეტის ფარგლებში გაითვალისწინოს ხარჯები სასწავლო პროცესში საერთაშორისო პერსონალის ჩართვისთვის. - სასურველია, უნივერსიტეტმა ქართველ და საერთაშორისო კოლეგებთან ერთად შეიმუშაოს საერთაშორისო პროექტების წინადადებები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტის ერთეულები ჩართულნი არიან შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანად დანერგვის მიზნით, უნივერსიტეტს სჭირდება შესაბამისი ადამიანური, საინფორმაციო და მატერიალური რესურსების გამოყოფა. იმის გამო, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში არ არის საკმარისი რაოდენობის თანამშრომელი, გამოკითხვები, რომლებიც უნდა ჩატარებულიყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლების მიერ, გადაეცა აუტოსორსზე. უნივერსიტეტმა უნდა დაასაქმოს ან დანიშნოს პერსონალი, რომელსაც აქვს სოციოლოგიური კვლევის ჩატარების გამოცდილება და სტატისტიკის სათანადო ცოდნა.

შეფასების სათანადო პროცედურებია გამოყოფილი უნივერსიტეტის საქმიანობის ორი ძირითადი მიმართულებისთვის (სწავლება-სწავლა და კვლევა), მაგრამ საჭიროა მესამე მისიის აქტივობების შეფასების მკაფიო მექანიზმების შემუშავება. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი საკმაოდ ბევრ აქტივობას ახორციელებს საზოგადოების განვითარების და ინსტიტუციური აქტივობების შესახებ ცოდნის გავრცელების მიმართულებით. უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს საკუთარი კრიტერიუმები (მაგალითად: ცოდნის გავრცელება (საჯარო ლექციები, დისკუსიები); უწყვეტი განათლების აქტივობები, ინოვაციური გადაწყვეტილებები/აქტივობები საზოგადოებასთან და საზოგადოებისთვის (უნივერსიტეტის ან თავად საზოგადოების მიერ ინიცირებული) ან პროგრესირებასა და შეფასებაზე დაკვირვების სამიზნე ნიშნულები.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომლებიც გაბნეულია სხვადასხვა რეგულაციაში, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საქმიანობისა და მისი რესურსების უწყვეტ შეფასებას და განვითარებას. დოკუმენტი სათაურით – „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და პროცედურები“ მოიცავს მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებას და შეფასების მექანიზმებს. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები უნდა მოიცავდეს სფეროების ყოვლისმომცველ დიაპაზონს სწავლა-სწავლების, კვლევის, საზოგადოებაში ჩართულობისა და ინსტიტუციური მართვის მაღალი სტანდარტების უზრუნველსაყოფად.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა (აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოები) გადაწყვეტილებას იღებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეფასების შედეგების საფუძველზე. შეფასების შედეგები გამოიყენება შემდგომი განვითარებისთვის. რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და რესურსებისადმი მიდგომა არ საჭიროებს შესწორებას.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმები. წარმოდგენილი შეფასების ანგარიშების მიხედვით, უნივერსიტეტი აწარმოებს ანალიზს. ინტერვიუების მიხედვით, შედეგები გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის გაუმჯობესების გადაწყვეტილების მიღებისას.

არსებობს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი – „საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი“, სადაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და სრულყოფის მექანიზმები, განსაზღვრულია შესაბამისი დაინტერესებული მხარეები და უზრუნველყოფილია მათი რეგულარული ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ყველა დაინტერესებული მხარე ჩართულია პროგრამის არსებობის ყველა ეტაპზე.

უნივერსიტეტი პერიოდულად აფასებს თავის სერვისებსა და რესურსებს და განიხილავს უნივერსიტეტის დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა მოსაზრებას. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც აღწერს ხარისხის კვლევის სფეროებს,

დაინტერესებულ მხარეებს და მისი ჩატარების პერიოდულობას. ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ სხვადასხვა დაინტერესებული მხარე აფასებს უნივერსიტეტის რესურსებსა და სერვისებს. შეფასების შედეგები გამოიყენება შემდგომი გაუმჯობესებისთვის. მაგალითად, პროგრამების ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ იყო შემთხვევა, როდესაც სტუდენტების მოთხოვნით ლექცია შეიცვალა. უნივერსიტეტს აქვს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც მოცემულია დოკუმენტში -“სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის წესი“. დოკუმენტის მიხედვით „ერთ სტუდენტს/პროფესიულ სტუდენტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა ჰქონდეს მინიმუმ 4 კვ/მ სივრცე, მათ შორის 2 კვ/მ. სასწავლო ფართი და 2 კვ/მ. დამხმარე სივრცე“. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, 10502,21 კვ/კმ წარმოდგენილია როგორც სასწავლო ფართი და 2726,06 კვ/კმ - დამხმარე სივრცე. შესაბამისად, დამხმარე ფართები საკმარისია 1363 სტუდენტისთვის. უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს დამხმარე ფართი, რომ იგი საკმარისი იყოს 1700 სტუდენტისთვის. თვითშეფასების მიხედვით, აქტიურია 668 სტუდენტი და დამხმარე ფართი საკმარისია ამ რაოდენობისთვის. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს ზოგადად უმაღლესი სასწავლებლის რესურსებს და სამიზნე ნიშნულებს, მაგრამ ის მეტ სპეციფიურ ასპექტს უნდა ითვალისწინებდეს პროგრამების მიხედვით, რადგან პროგრამები დარგიდან გამომდინარე სპეციფიურია. მაგალითად, უნდა განისაზღვროს მუსიკალური ინსტრუმენტების და ტექნიკური აღჭურვილობის ზუსტი რაოდენობა სწავლის შედეგების სათანადო მიღწევის უზრუნველსაყოფად. საჭიროა სტუდენტის ინდივიდუალური სამუშაოს მიახლოებითი საათების დათვლა, რომელიც უნდა შესრულდეს კლასებში (მუსიკისთვის). საჭიროა გაკვეთილების უფრო სწორად დაგეგმვა (პრაქტიკული სემინარებისთვის), რაც უნდა აისახოს ცხრილებში. თუ ახალი სასწავლო პროგრამების შემუშავება პრაქტიკული აქცენტით იგეგმება, უნდა გაითვალისწინოთ, რომ 1700 სტუდენტის შემთხვევაში მეტი სივრცეა საჭირო სახელოვნებო საქმიანობისთვის. ამჟამად არსებული სივრცე საკმარისია ამჟამად ჩარიცხული სტუდენტთა რაოდენობისთვის.	მტკიცებულებები/ინდიკატორები -თვითშეფასების ანგარიში -ინტერვიუს შედეგები -ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. -გამოკითხვის შედეგები -“სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვა წესი” რეკომენდაციები: - რეკომენდებულია, დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის განხორციელების მიზნით დაასაქმოს ან დანიშნოს შესაბამისი პერსონალი. - რეკომენდებულია, დაწესებულებამ განსაზღვროს საზოგადოების განვითარების და ცოდნის გავრცელების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების შეფასების პრინციპები. - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის ყოვლისმომცველი მექანიზმები. - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის კვლევის პოლიტიკა და პროცედურები. - რეკომენდებულია, დაწესებულებამ შინაგანაწესთან შესაბამისობის მიზნით გაზარდოს დამხმარე სივრცე. - რეკომენდებულია, დაწესებულებამ განახორციელოს ცვლილება „სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის წესში“ ისე, რომ მასში განისაზღვროს პროგრამის სპეციფიკური სამიზნე ნიშნულები. რჩევები: არ ეხება
---	--

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა
○ უსდ-ს შემუშავებული აქვს რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც იცავს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია. ○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები. ○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი არსებობს უნივერსიტეტში შემუშავებული და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული „ეთიკის კოდექსი“, „სტუდენტთა ეთიკის კოდექსი“ და ქარტია „ეთიკის კომიტეტის ფუნქციონირების შესახებ“. „ეთიკის კოდექსი“ და „სტუდენტთა ეთიკის კოდექსი“ მოიცავს ეთიკის პრინციპებს, ქცევის წესებს, დარღვევებზე რეაგირების პროცედურებს. გასაუბრებისას დადასტურდა, რომ პერსონალი და სტუდენტები აცნობიერებენ რეგულაციებს. მაგ.: პროგრამების ხელმძღვანელებმა გასაუბრებისას გაიხსენეს, რომ იყო ბულინგის შემთხვევა და ეთიკის კომიტეტს მოუხდა ამაზე რეაგირება; სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ იცოდნენ ეთიკის კომიტეტის პრინციპები და არსებობა, მაგრამ არ იცოდნენ მათი დარღვევის შემთხვევების შესახებ, რადგან ეს მათ თანატოლებს შორის არ მომხდარა. „ეთიკის კოდექსი“, ქართულ ენაზე, საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ინტერნაციონალიზაციის მხარდასაჭერად, რეკომენდებულია რომ ეს დოკუმენტი ინგლისურ ენაზეც აიტვირთოს. ინტერვიუების დროს დადასტურდა, რომ თანამშრომლებმა და სტუდენტებმა იცოდნენ პლაგიატის პრინციპები და ქცევის ნორმები გარკვეულწილად, თუმცა არ იცოდნენ პლაგიატის შემთხვევაში, რა სანქციები და პლაგიატის საწინააღმდეგო რა პროგრამა არსებობს დაწესებულებაში. „პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესის“ მიხედვით დეკლარირებული დებულებით განსაზღვრულია პლაგიატის სხვადასხვა ფორმა, პლაგიატის გამოვლენის მექანიზმები, პროცედურები, შესაბამისი კომიტეტი, სანქციები და აპელაციის პრინციპები. დაწესებულების ვებგვერდზე ინგლისურ ენაზე უნდა აიტვირთოს „პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესი“. ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე, უნივერსიტეტმა წარმოადგინა plagiat.pl-ის წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც დაიდო 2015 წელს და მოქმედებდა ერთი წლის განმავლობაში. 2015 წლით დათარიღებულ დოკუმენტზე გაკეთებულია ელექტრონული ხელმოწერა მხოლოდ დაწესებულების მხრიდან, რომელიც თავის მხრივ, თარიღდება 2024 წლით. უნივერსიტეტმა უნდა განაახლოს ან შეიმუშავოს ახალი კონტრაქტი პლაგიატის გამოვლენის პროგრამის იმავე ან ახალ პროვაიდერთან. გამომცემლობაში არის ერთი თანამშრომელი, რომელსაც ყველა დოკუმენტი ეგზავნება პლაგიატის შესამოწმებლად. შედეგად, ის შედეგებს უზიარებს შესაბამის პირს, მაგალითად, ნაშრომის კოორდინატორს. ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ატარებენ ტრენინგს პლაგიატზე. აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებისას არ იყო მკაფიო პასუხი კონკრეტულ აქტივობებზე/სანქციებზე. ერთ-ერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სტუდენტების შემთხვევაში, პლაგიატის გამოვლენისას, ნაშრომის დაცვაზე არ უშვებენ, ან კურსს ვერ დახურავენ. ასევე აღინიშნა, რომ სტუდენტებს შესაძლოა ჰქონდეთ კიდეც ერთი შანსი, განაახლონ ნაშრომი და ხელახლა წარადგინონ პლაგიატზე შესამოწმებლად. გასაუბრებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სწავლის პროცესში მათ აცნობენ პლაგიატის პრინციპებს, მაგრამ მათ გაუჭირდათ შესაძლო სანქციების დასახელება.

უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა რეგულარულად უნდა აცნობონ ლექტორებსა და სტუდენტებს პლაგიატზე არსებული შიდა რეგლამენტის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა პლაგიატის პრევენციაზე ჩატარებული ვორქშოფის დამადასტურებელი მტკიცებულება, თუმცა ეს მტკიცებულება არ მიუღია. ინტერნაციონალიზაციის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია ატვირთოთ ვებგვერდზე შემდეგი დოკუმენტის ინგლისური ვერსია - „პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესები“.

ლექტორებთან და სტუდენტებთან გასაუბრებისას დამტკიცდა, რომ მათი აკადემიური თავისუფლება დაცულია. მაგალითად, ლექტორებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ თავისუფლება კვლევის ჩატარებისას, სწავლებისას; ხოლო სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ აქვთ თავისუფლება, აირჩიონ არჩევითი კურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ინტერვიუს შედეგები
- ეთიკის კოდექსი
- ეთიკის კოდექსი სტუდენტებისთვის
- პლაგიატის პრევენციის გამოვლენისა და მასზე რეაგირების წესები
- პლაგიატის პრევენციაზე ჩატარებული ვორქშოფის მტკიცებულება
- კონტრაქტი plagiat.pl-თან

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ განახლოს ან შეიმუშაოს ახალი ხელშეკრულება პლაგიატის გამოვლენის იმავე ან სხვა პროგრამული უზრუნველყოფის მომწოდებელთან.
- რეკომენდებულია, დაწესებულებამ უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე განათავსოს „ეთიკის კოდექსი“, „სტუდენტების ეთიკის კოდექსი“ და „პლაგიატის პრევენციის, გამოვლენის და რეაგირების წესი“ ინგლისურ ენაზე.

რჩევები:

- სასურველია, დაწესებულებამ აამაღლოს ინსტიტუციური ცნობიერება აკადემიური კეთილსინდისიერების (მათ შორის, თაღლითობა და პლაგიატი) მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში არსებული სანქციების შესახებ.
- სასურველია, დაწესებულებამ გაზარდოს პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამული უზრუნველყოფის ინსტიტუციური ხილვადობა და სავალდებულოდ დაადგინოს მისი გამოყენება შეფასების პროცესში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

არ ეხება

შეფასება

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუმჯობესების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია ასახავს იმ ფუნქციებს და მნიშვნელობას, რაც უნდა ჰქონდეს სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებელს. 2018 წლის 17 თებერვალს დამტკიცებულ მისიის დოკუმენტში ვკითხულობთ: „უნივერსიტეტის მისიაა – ხელოვნების დარგების განვითარება და კვლევა, ხელოვნების დარგების მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისა და პროფესიონალების აღზრდა. უნივერსიტეტი წარმოადგენს სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა, ხელოვანთა, მკვლევართა, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მჭიდრო კავშირს, რომელთა ერთიანი, ჰარმონიული თანამშრომლობით იქმნება სწავლების, შემოქმედებითი განვითარებისა და სამეცნიერო კვლევების ერთიანი არეალი, ასევე ხელოვნების დარგების (თეატრალური, აუდიოვიზუალური, ქორეოგრაფიული, სამუსიკო) მნიშვნელოვანი და მდგრადი განვითარების საფუძველი ქვეყნის მასშტაბითა და საერთაშორისო ასპარეზზე. უნივერსიტეტის მისიაა იქცეს გამოცდილების გაზიარების, ახალგაზრდა შემოქმედთა ურთიერთობების და კულტურათა დიალოგის საერთაშორისო ცენტრად.“

ამ დოკუმენტით, ადგილზე ვიზიტითა და აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებიდან ნათელი ხდება, რომ უსდ-ს უკვე აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება და მიზანი ამ დარგში. განხორციელდა მრავალფეროვანი აქტივობები სხვადასხვა მიმართულებით – თანამშრომლობა ქვეყნის ყველა მნიშვნელოვან მომიჯნავე დაწესებულებასთან, სპექტაკლების ორგანიზება და მხარდაჭერა, გადაღებები, კონცერტები, შემოქმედებითი თუ სამეცნიერო ღონისძიებები და კონფერენციები, საერთაშორისო თანამშრომლობა, უწყვეტი სასწავლო პროცესის ხელშეწყობა, სპეციალური მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამები. გარდა ამისა, კურსდამთავრებულები ადასტურებენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების როლს და მნიშვნელობას თავიანთი დასაქმების მაჩვენებლითა და პროფესიონალიზმით და არანაკლებ მნიშვნელოვანია უმაღლესი განათლებისადმი მათი დამოკიდებულება, რომელშიც იგრძნობა აფილირების გრძნობა და დიდი მადლიერება.

უნივერსიტეტის უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ერთ-ერთი პირველი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელმაც აღზარდა ქვეყანაში თეატრისა და კინოხელოვნების მრავალი გამორჩეული ფიგურა. თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში, მას ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქვეყანაში შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობისთვის და დღესაც არ ჰყავს ფართომასშტაბიანი ანალოგი ქვეყანაში.

უნივერსიტეტში სამი ფაკულტეტი: დრამის; კინო-ტელე ფაკულტეტი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი.

დრამის ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს 8 საგანმანათლებლო პროგრამას:

4 საბაკალავრო პროგრამა: 1. მსახიობი (დრამისა და კინოს მსახიობი; მუსიკალური თეატრის მსახიობი; თოჯინების თეატრის მსახიობი; პანტომიმის თეატრის მსახიობი); 2. თეატრის რეჟისურა; 3. ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი; 4. ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი (ლოტბარი/რეგენტი).

- 3 სამაგისტრო პროგრამა : 1. სადადგმო ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი); 2. მეტყველების კულტურა (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი); 3. თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი).

-1 სადოქტორო პროგრამა: თეატრის რეჟისურა (შემოქმედებითი პედაგოგიკა).

კინო-ტელე ფაკულტეტი სტუდენტებს სთავაზობს 8 საგანმანათლებლო პროგრამას:

-5 საბაკალავრო პროგრამა: 1. მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა; 2. ტელერეჟისურა; 3. ანიმაციური კინოს რეჟისურა და თანამედროვე ტექნოლოგიები; 4. ხმის რეჟისურა; 5. კინო-ტელე

ოპერატორები.

- 2 სამაგისტრო პროგრამა: 1. აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური, ხმა, ტელევიზია) (თეორია და პრაქტიკული ანალიზი). 2. კინო-ტელე ოპერატორი;

- 1 სადოქტორო პროგრამა: აუდიოვიზუალური ხელოვნება.

სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი გვთავაზობს 18 პროგრამას მათ შორის:

- 5 საბაკალავრო პროგრამა: 1. თეატროლოგია; 2. მასობრივი კომუნიკაცია (მულტიმედიური და კულტურის ჟურნალისტიკა); 3. კულტურული ტურიზმი; 4. კინომცოდნეობა. 5. ხელოვნებათმცოდნეობა (ხელოვნების ისტორია და თეორია).

- 7 სამაგისტრო პროგრამა: 1. ქორეოლოგია (ქართული ქორეოგრაფიის ისტორია, თეორია და კრიტიკა) 2. არტჟურნალისტიკა; 3 კულტურული ტურიზმი; 4. ხელოვნების მენეჯმენტი; 5. თეატროლოგია ; 6. კინომცოდნეობა;

7. ხელოვნებათმცოდნეობა (ქართული ხელოვნება-კვლევა და დაცვა).

- 6 სადოქტორო პროგრამა : 1. ქორეოლოგია (ქორეოგრაფიული ხელოვნების კვლევა); 2. კულტურა მედიაში; 3. ხელოვნების მენეჯმენტი; 4. თეატროლოგია; 5. კინომცოდნეობა; 6. სახელოვნებათმცოდნეო კვლევები (ქართული ხელოვნება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში).

საგანმანათლებლო პროგრამები მიზნად ისახავს სწავლის შედეგების და კომპეტენციების მიღწევას, დარგობრივი, პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების შეძენას, სტუდენტზე ორიენტირებულ, მოქნილ სასწავლო გეგმას, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალისტების მომზადებას განათლების დონის მიხედვით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამები უზრუნველყოფს მიზნების და სწავლის შედეგებს მიღწევას.

დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, ცვლილება და გაუქმება“ მოიცავს ყველა დებულებას, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლეს სასწავლებლებში საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას და მიზნად ისახავს ხარისხის კულტურის ამაღლებას დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობით. ასევე, ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, რომელიც შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და მიზნებს.

თვითშეფასების ანგარიშიდან, ასევე პერსონალთან, კურსდამთავრებულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ უნივერსიტეტი ცდილობს შეუსაბამოს თავისი პროგრამები ბაზრისა და ეროვნული ეკონომიკის საჭიროებებს, უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი ძალების, მისიის, საერთო საჭიროებების და აკადემიური პერსონალის დაბალანსებით.

უსდ თავის პროგრამებს ადარებს მსგავს პროგრამებს საქართველოში და საერთაშორისო დონეზე. პროგრამის დაგეგმვისა და განხილვის პროცესში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ექსპერტების ჩართვა და მსგავსი პროგრამების სილაბუსების გაცნობა ხელს შეუწყობს დაწესებულების პოტენციალის გაზრდას საერთაშორისო კავშირებისა და თანამშრომლობის კუთხით. მაგალითი პროგრამიდან „თეატრისა და კინოს დრამატურგიის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“: „მსოფლიოს ბევრ სახელოვნებო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს როგორც თეატრის, ისე კინოს დრამატურგიის სამაგისტრო პროგრამა, რომლის მიზანია პროფესიონალი დრამატურგების მომზადება. London MetFilm School -კინოგრაფიის სამაგისტრო პროგრამა - აუდიო-ვიზუალური ხელოვნების დრამატურგიის სამაგისტრო პროგრამა. რუმინეთის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი "I.L. კარაგიალე" - კინოდრამატურგიის სამაგისტრო პროგრამა- მაგისტრატურა კინოდრამატურგიაში აუდიო-ვიზუალური ხელოვნებისთვის, კატალონიის აუდიო-ვიზუალური ხელოვნების უნივერსიტეტი - კინემატოგრაფიული და სატელევიზიო მხატვრული სცენარი - მაგისტრატურა კინო-ტელე დრამატურგიაში (კონცენტრირებული უშუალოდ სცენარისწერაზე) -ლონდონის უნივერსიტეტი - დრამატურგიისა და სპექტაკლის წერის სამაგისტრო პროგრამა - დრამატურგიისა და სპექტაკლის სცენარის მსამაგისტრო პროგრამა; Twickenham University

- დრამატურგიის, დრამის, სადადგმო სამაგისტრო პროგრამა. შესაბამისად, გავითვალისწინეთ არა მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტის გამოცდილება, არამედ მსოფლიო სახელოვნებო ინსტიტუტების გამოცდილებაც“.

პრაქტიკული თვალსაზრისით უნივერსიტეტი საერთაშორისო ბაზარზე თანამშრომლობს და აქვს გარე საგანმანათლებლო და შემოქმედებითი პროექტები, თუმცა ამ მიმართულებით, ფინანსური მხარდაჭრის ნაკლებობის გამო, იშვიათად არის შესაძლებელი ჯგუფური ვიზიტების დაგეგმვა.

სასწავლო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს მე-6 (ბაკალავრიატი), მე-7 (მაგისტრატურა) და მე-8 (დოქტორანტურა) დონეებს.

დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე, ასევე სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან გასაუბრებაზე, აკადემიურ და მოწვეული პერსონალთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ხარისხიან განათლებას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოიცავს რა ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს.

როგორც საორიენტაციო მაგალითი, რომელიც აჩვენებს ერთ-ერთი პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობას კვალიფიკაციების ეროვნულ ჩარჩოსთან, ეთნო-ქორეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგებში მე-7 დონის კვალიფიკაციის აღმწერია წარმოდგენილი: "ის თავის საქმიანობას წარმართავს პროფესიული ეთიკისა და პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით. მონაწილეობს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი კულტურული ფასეულობების ჩამოყალიბების პროცესში", რომელიც პასუხობს და, ფაქტობრივად, სრულად შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს აღმწერს – „ავტონომია და პასუხისმგებლობა“.

კიდევ ერთი მაგალითი, დონე 6, საბაკალავრო პროგრამა „კულტურული ტურიზმი“: (1.) „აცნობიერებს ტურიზმის შემეცნებით, კულტურულ-ჯანსაღ როლს ადამიანის ცხოვრებაში; აცნობიერებს იურიდიულ, ეთიკურ და კულტურულ პასუხისმგებლობას ტურისტულ ორგანიზაციასა და საზოგადოებაში; აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა და ესმის ეთიკისა და მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპები; (2.) მონაწილეობს კულტურულ ტურიზმში რესურსებისა და ღირებულებების ფორმირებისა და შეფასების პროცესში და ხელს უწყობს ღირებულებების შექმნას; (3.) მოქმედებს პროფესიულ საქმიანობაში ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვით და პატივისცემით. დაეუფლა მულტიკულტურულ ღირებულებებს, იცავს და ხელს უწყობს მათ დამკვიდრებას. (4.) სტუდენტს შეუძლია დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები ტურისტული ბაზრის შესწავლისა და შესაბამისი პროგნოზის გაკეთების პროცესში.“

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დაგეგმვისა და განვითარების გზების აღწერისას მნიშვნელოვანია ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება. დამსაქმებლებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე პროგრამის დადებითი და მაკორექტირებელი ასპექტები.

კერძოდ:

-თეატრალურ პრაქტიკაზე, მესამე-მეოთხე კურსის სტუდენტები მზად არიან სასცენო ცხოვრებისთვის და პროფესიაში მათ დამკვიდრებას დიდი ძალისხმევა არ სჭირდება;

-განათების ხელოვნება პრობლემური და რთული სპეციალობაა; შესაბამისად, მეტი პრაქტიკული გამოცდილებაა საჭირო სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის, რათა უკეთ დაეუფლონ კამერის ფლობის ხელოვნებას, განათების ხელოვნებას. ხშირად, დამსაქმებლებმაც უნდა ასწავლონ მცირე დეტალები;

- მუსიკის სფეროს დამსაქმებელი ამბობს, რომ ანსამბლ "შენაბადას" წევრების უმეტესობა სწორედ აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებიდანაა, ვინაიდან მათ უშუალოდ ამავე ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი ასწავლის და საჭირო პერსონალიც სწორედ აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებიდან არის დაკომპლექტებული. თუმცა, ეს საკმარისი არ არის მათი დასაქმებისთვის, ამიტომ ლობტარ-შემსრულებლების შემთხვევაში ხშირად უნდა იმართებოდეს საჩვენებელი კონცერტები ახალი, თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებული ნიჭიერი შემსრულებლების

დასანერგად და დასასაქმებლად;

- მუზეუმის წარმომადგენელი დამსაქმებელი ამბობს, რომ სამსახურში აჰყავთ კურსდამთავრებულები, რომლებსაც აქვთ კარგი თეორიული ბაზა, შემდეგ კი ასწავლიან და აკვირდებიან მუზეუმში მათ პრაქტიკულ საქმიანობას, გამოსაცდელი ვადით;

- დამსაქმებლების რჩევაა, რომ გაიზარდოს პრაქტიკული საქმიანობისთვის გამოყოფილი საათების რაოდენობა შემდეგ სასწავლო კურსებზე: სასცენო დიზაინი, სცენოგრაფია, სასცენო განათება, ოპერატორების მრავალფეროვანი სერვისების ჩართვა, რაც დამსაქმებელთა მოთხოვნების ნაწილია.

უფრო საჭირო და კვალიფიციური კადრების მომზადება, ყველა პროგრამის სტანდარტიზაცია, სტუდენტებისა და პერსონალის მიერ უცხო ენის უკეთესი ცოდნა და პროგრამების ინტერდისციპლინურობა - ამ მიმართულებებით აშკარა პრობლემებია.

გასაუბრების პროცესში (სტუდენტებთან, პერსონალთან და დამსაქმებლებთან) დადასტურდა, რომ დაწესებულებას შეუძლია მაღალკვალიფიციური კადრების აღზრდა, თუმცა აღნიშნული მიმართულებით გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. მათ შორის, უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო კავშირები, თუმცა პერსონალის უმრავლესობას აქვს ენობრივი კომპეტენციის პრობლემა. თავად პერსონალმა აღნიშნა, რომ კომუნიკაციისთვის მათ უკეთესად უნდა შეისწავლონ ინგლისური ენა, რისთვისაც აუცილებელია დაწესებულებამ სტუდენტებისთვის გააძლიეროს ენის შემსწავლელი კურსების და შეიმუშაოს სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების პერსონალისთვის.

დაწესებულებამ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად უნდა უზრუნველყოს პროგრამების გადახედვა და პერსონალის მომზადება. მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში კარგად არის აღწერილი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა, გასაუბრების დროს დამსაქმებლებმა აღნიშნეს პრობლემები, რომლებიც უნდა აღმოიფხვრას. დაწესებულებამ უნდა გაზარდოს პრაქტიკული მოსამზადებელი კურსების მოცულობა და შინაარსი და პროგრამებში გაითვალისწინოს არჩევითი საგნების მრავალფეროვნება, იმისათვის, რომ სტუდენტებმა შეისწავლონ მათთვის საინტერესო პრაქტიკული საგნები და აღიქვან პროფესია მრავალფეროვანი პერსპექტივიდან. შესაბამისად, რეკომენდებულია შრომის ბაზარზე მოთხოვნადი მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისთვის საჭირო მოსამზადებელი პროგრამების გადახედვა და შემუშავება. ასევე, საჭიროა ყველა პროგრამის სტანდარტიზაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

-გასაუბრებები ადგილზე ვიზიტის დროს

-თვითშეფასების ანგარიში

-საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა

-მისია და ხედვა

-საგანმანათლებლო პროგრამები/კურიკულუმები

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებისა და გაუქმების პროცედურა

-ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;

- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა

-უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შესახებ

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ შეიმუშაოს პროგრამები შრომის ბაზარზე მოთხოვნადი მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების მიზნით.

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაითვალისწინოს, რომ საჭიროა ყველა პროგრამის მსგავსი პრეზენტაცია.

რჩევები: - სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის დაგეგმვისა და განხილვის პროცესში, განახორციელოს შედარება საქართველოში და საერთაშორისო დონეზე მოქმედ მსგავს პროგრამებთან, რაც ხელს შეუწყობს დაწესებულების საერთაშორისო კავშირების და თანამშრომლობის პოტენციალის გაზრდას. - სასურველია, უნივერსიტეტმა სტუდენტებს მისცეს შესაძლებლობა სრულად დაეუფლონ პრაქტიკულ კურსებს, მაღალკვალიფიციური კადრების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მომზადების მიზნით. - სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სხვადასხვა სახის შემოქმედებითი ღონისძიება, იმისათვის, რომ დამსაქმებლებს ჰქონდეთ შესაძლებლობა დააკვირდნენ მომავალ პერსონალს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი
○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულება წარმოგიდგენთ 35 უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას განათლების სამივე საფეხურზე: 14 საბაკალავრო პროგრამა; 12 სამაგისტრო პროგრამა; 8 სადოქტორო პროგრამა და ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (60 კრედიტიანი). შინაარსისა და მიზნის თვალსაზრისით, პროგრამები შეესაბამება დაწესებულების ხედვას. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა პროგრამა ქართულენოვანია. საგანმანათლებლო პროგრამები წარმოდგენილია უსდ-ს მიერ შემუშავებული ფორმით. პროგრამების დიზაინი და სტრუქტურა შეესაბამება სტანდარტს. თითოეული პროგრამა მოცემულია სასწავლო გეგმის სახით, ხოლო სასწავლო კურსები დაყოფილია შემდეგნაირად: ძირითადი პროფილის მოდულები/კურსები (MS); ძირითადი/საუნივერსიტეტო მოდულები/კურსები (კრედიტები); ზოგადი საუნივერსიტეტო კურსები (ზ.ს); არჩევითი კურსები (არჩ). თითოეული სასწავლო გეგმა ნათლად აღწერს კონკრეტულ პროგრამას ძირითადი მახასიათებლების საფუძველზე. მაგალითად, საბაკალავრო პროგრამის „მხატვრული და დოკუმენტური კინოს რეჟისურა“ აღწერითი ნაწილი ასეთია: 1. პროგრამის სახელწოდება 2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრი. 3. პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 240 კრედიტი. სასურველია სასწავლო პროგრამებში მიეთითოს, თუ როგორ ნაწილდება მოცემული 240 კრედიტი, რამდენი კრედიტი ეთმობა ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს და, შესაბამისად, არჩევით კურსებს. 4. ხანგრძლივობა: 4 სასწავლო წელი, 8 სემესტრი. სასწავლო წელი შედგება 2 სემესტრისაგან და მოიცავს 30 კვირას – თითოეულში 15 სასწავლო კვირაა. სასწავლო გეგმის ერთ-ერთი მთავარი საკითხი ისაა, აკმაყოფილებს თუ არა პროგრამებზე დაშვების წინაპირობები მოქმედ რეგულაციებს. ადმინისტრაციასთან გასაუბრებამ და პროგრამის აღწერილობების გადახედვამ გვიჩვენა, რომ უსდ-ს მიერ შემოთავაზებული პროგრამაზე მიღების

პოლიტიკა შეესაბამება რეგულაციებს. მაგალითად, სამაგისტრო პროგრამაზე - „თეატრისა და კინოს დრამატურგის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი)“- მიღების წინაპირობებია:

-ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; ბაკალავრის ხარისხთან გათანაბრებული ან მასზე აღმატებული ხარისხიც დასაშვებია;

- ქართული ენის ცოდნა (უცხოენოვანი კანდიდატებისთვის - B2 დონეზე)

-ინგლისური ენის ცოდნა - B2 დონეზე;

აპლიკანტის ენის ცოდნის დონე შემოწმდება ტესტის საშუალებით. აპლიკანტი თავისუფლდება ტესტირებისგან, თუ იგი წარადგენს B2 დონეზე ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისოდ აღიარებულ სერტიფიკატს. აპლიკანტი ასევე თავისუფლდება ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარდგენისგან, თუ ბაკალავრიატის სწავლისას უცხო ენაზე მიღებული კრედიტები შეესაბამება ენის ცოდნის შესაბამის დონეს.

პროგრამაში ჩარიცხვის საფუძველია: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის წარმატებით ჩაბარება. ხელოვნების დარგის სამაგისტრო პროგრამებზე საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება სავალდებულო არ არის.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა მოიცავს:

-ენის ცოდნის დამადასტურებელ ტესტს და

-შემოქმედებით ტურს.

შემოქმედებითი ტურისთვის, აპლიკანტმა უნდა წარადგინოს განაცხადის პაკეტი, რომელიც მოიცავს:

-CV (ავტობიოგრაფია);

- სამოტივაციო წერილი (ესე), რომელშიც აპლიკანტი აღწერს ამ პროგრამაზე სწავლის გაგრძელების მოტივაციას;

-შემოქმედებითი პორტფოლიო (სპექტაკლის ან კინოს სცენარი, ნებისმიერ ჟანრში შესრულებული სალიტერატურო ნაშრომი ან სხვა ინფორმაცია მის შემოქმედებით გამოცდილებაზე - DVD ფორმატში).

შემოქმედებითი ტური ტარდება 3 ეტაპად:

a) განმცხადებლების მიერ წარდგენილი დოკუმენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, მათი შერჩევა და შემოქმედებით ტურზე დაშვება

b) შემოქმედებითი ტური I- წერითი ნაწარმოების შესრულება - რომელიც ავლენს აბიტურიენტის მხატვრულ აზროვნებას, დრამატურგის პროფესიისთვის აუცილებელ შემოქმედებით ნიჭს, შემოქმედებითად აზროვნების, საკითხის გაანალიზების უნარს. ის ასევე საუკეთესოდ გამოავლენს აკადემიური წერისთვის საჭირო კომპეტენციებს.

c) შემოქმედებითი ტური II -ინტერვიუ -განისაზღვრება აპლიკანტის მომზადების დონე და შესაძლებლობა, რომ დაეუფლოს სამაგისტრო პროგრამას. ბაკალავრის (ან უფრო მაღალი) აკადემიური ხარისხის მქონე აპლიკანტები სამაგისტრო პროგრამაზე შეირჩევიან საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე.

პროგრამა ასევე მოიცავს დასაქმების სფეროს: კურსდამთავრებულს შეუძლია კვლევითი საქმიანობის გაგრძელება დოქტორანტურაში ან პრაქტიკულ-შემოქმედებითი საქმიანობის გაგრძელება თეატრალური (დრამა, მუსიკა, პანტომიმა, თოჯინების თეატრი, მარიონეტების თეატრი) და აუდიოვიზუალური ხელოვნების დრამატურგიის ნებისმიერ სფეროში. გარდა ამისა, მაგისტრს შეუძლია წარმართოს სასწავლო პროცესი შესაბამისი პროფილის ბაკალავრიატის აკადემიურ დონეზე და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში.

მაგისტრატურის სტუდენტს ექნება შესაძლებლობა იმუშაოს ექსპერტ – ანალიტიკოსად სახელმწიფო და კერძო სექტორში, სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებასა თუ უწყებაში; იყოს თეატრის ლიტერატურული ნაწილის რეჟისორი; შეძლება სარედაქციო ან საგამომცემლო საქმიანობის მართვა, დამოუკიდებელ სცენარისტად მუშაობა კინოს, ტელევიზიისა და აუდიო-ვიზუალური რეკლამის სფეროში. შეძლებს იმუშაოს მემონტაჟედ კინო სტუდიებში, ტელევიზიებსა და სარეკლამო სააგენტოებში; ჩაატაროს დამოუკიდებელი კვლევა; მონაწილეობა მიიღოს თეატრის მხატვრული და

სარეპერტუარო პოლიტიკის დაგეგმვასა და განსაზღვრაში; ჩაატაროს მოლაპარაკებები და შეძლოს შემოქმედებითი ჯგუფების ფორმირება; იმუშაოს სახელოვნებო მენეჯმენტისა სხვადასხვა დარგების განვითარების სფეროებში.

საგანმანათლებლო გეგმებში წარმოდგენილია პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა, პროგრამის სტრუქტურა, საგანმანათლებლო კურსების ჩამონათვალი, ECTS კრედიტები, საკონტაქტო საათები (ყოველკვირეული და სემესტრული); სასწავლო კურსზე მიღების წინაპირობები სასწავლო სემესტრის მითითებით. ასევე აღწერილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ბოლოს საჭირო ადამიანური რესურსები, სადაც აღნიშნულია, რომ „პროგრამის განხორციელებაში ჩართულია შესაბამისი დარგის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რაც უზრუნველყოფს კურსისა და პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას“.

განხორციელებას ხელს უწყობს ფაკულტეტი და სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სხვა სტრუქტურული ერთეულები, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. დოკუმენტი მთავრდება პროფესორებისა და მასწავლებლების სიით, სადაც მითითებულია მათი აკადემიური თანამდებობები.

თითოეული პროგრამა წარმოდგენილია სასწავლო კურსებით. ყველაზე დიდი ნაწილი, 75-80%, არის სავალდებულო კურსები, რომელთა შინაარსი პირდაპირ შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს. პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და მათთან დაკავშირებულია სწავლის შედეგები.

სამივე ფაკულტეტის ყველა პროგრამა დანერგილია და ხორციელდება სასწავლო კურსების მეშვეობით. ისინი მოიცავს ყველა კურსს, რომელიც დაკავშირებულია პროგრამებთან. მაგალითად, ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორის (ლოტბარი/რეგენტი) საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებია: ქართული ხალხური სიმღერა 1 - 7; საეკლესიო გალობა 1 - 7; გუნდი 1-8; ჩატარების 1-7; ფორტეპიანო 1-6; ვოკალურ საგუნდო ტექნიკა 1-6; ხალხური საკრავები 1-6; საეკლესიო ღვთისმსახურების პრაქტიკული კურსი; ქართული ცეკვა - საფერხულო ნიმუშები; ზოგადი სავალდებულო კურსები : ქართული ხალხური სამუსიკო შემოქმედება; ქართული საეკლესიო მუსიკის ისტორია და თეორია

არჩევითი კურსი: ქართული ტრადიციული მუსიკის შესრულება; გუნდური მუშაობა; ქართული ხელოვნების ისტორია; მსოფლიო საეკლესიო მუსიკის ისტორია; ქართული პროფესიული მუსიკის ისტორია; საგალობელთა სახეობები და ფორმების ტიპოლოგია; აკადემიური მუსიკის ისტორია; ლიტურგიკა;

სპეციალური კურსი: მეტყველება I, II; საეკლესიო კითხვის წესი, საეკლესიო ღვთისმსახურების პრაქტიკული კურსი; აკადემიური წერა; ინგლისური ენა; და სხვები.
მეოთხე სემესტრი ეთმობა შემოქმედებით პროექტს.

ექსპერტთა ჯგუფის თანახმად, ყველა კურსი აქტუალურია და წვლილი შეაქვს მოცემული პროგრამების მეშვეობით სტუდენტთა პროფესიულ განვითარებასა და ფორმირებაში. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამებში მოცემული სილაბუსები ვიზუალურად ერთნაირ ფორმატშია წარმოდგენილი. მათი ვიზუალური სტრუქტურა, თავისი დიზაინით, ხელს უწყობს მოცემული ინფორმაციის აღქმას.

სილაბუსები კარგად არის აგებული, თითოეული საგანი სრულყოფილად ფორმულირებული და წარმოდგენილია: განათლების საფეხური, კურსის სტატუსი, ეტაპი. ECTS კრედიტები, საკონტაქტო საათები, სახელწოდება, კვალიფიკაცია, სამუშაო პოზიცია, ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია, კონსულტაციის საათები, სასწავლო კურსის მიზანი, სწავლების მეთოდები, დაშვების წინაპირობები, სასწავლო კურსის შინაარსი, შეფასება, სავალდებულო ლიტერატურა, დამატებითი ლიტერატურა და

სხვა სასწავლო მასალები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსის შინაარსი. თუმცა, სილაბუსებში მოცემული ლიტერატურა ხშირად ბუნდოვანი და მწირია. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმძღვანელოს ზუსტი სახელწოდება, მოცემულ სახელმძღვანელოში კონკრეტული თემის შესაბამისი გვერდები არ არის დაზუსტებული. სასურველია, რომ სილაბუსებში კონკრეტული ლიტერატურა იყოს მითითებული, რომელიც იქნება მრავალფეროვანი და მაქსიმალურად ხშირად განახლებადი (საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე). სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ კონკრეტულ თემაზე, რამდენიმე წყაროს დახმარებით იმუშაონ.

ხელოვნებათმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა ხაზს უსვამს შესაბამის დარგში პროფესიონალების მომზადებას, რომლებიც ასევე საჭიროებენ პედაგოგიურ უნარებს. მაგალითად: „განსაკუთრებით აქტუალურია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ხელოვნებათმცოდნეობის კურსდამთავრებულთა დასაქმება, რადგან „ხელოვნება“ სასკოლო პროგრამების სავალდებულო საგნებს შორისაა და მკვეთრად იგრძნობა სპეციალიზებული პროფილის მასწავლებლების დეფიციტი.“

მართალია, რომ ხელოვნების სპეციალობის კურსდამთავრებულს, საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების შემდეგ, შეუძლია სწავლა განაგრძოს მასწავლებელთა გადამზადების 60 კრედიტიან პროგრამაზე და მიიღოს შესაძლებლობა, რომ მასწავლებლად დასაქმდეს სკოლაში, თუმცა სასურველია პედაგოგიური მოდულის საგნების გაძლიერება პროგრამებში, რომლებიც ასევე ამზადებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლებს, რათა სკოლაში შემოსული მასწავლებლები აღჭურვოს შესაბამისი უნარ-ჩვევებით.

საგნების ჩამონათვალში ვხვდებით პედაგოგიკის და ფსიქოლოგიის ზოგადი საფუძვლების შესწავლას, თუმცა სასურველია დაემატოს საკლასო მენეჯმენტი, ბავშვის ფსიქოლოგია და სხვა საჭირო საგნები, რომლებიც განთავსდება არჩევით ბლოკში.

სტუდენტებთან გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ არჩევითი საგნების სია პროგრამების მიხედვით უნდა დაიხვეწოს, რადგან მათ უკეთ უნდა დაინახონ კავშირი საგნებს შორის. ხშირ შემთხვევებში, სტუდენტები დაინტერესებული არიან მომიჯნავე პროფესიების პრაქტიკული საგნებით და არ აქვთ შესაძლებლობა რომ აირჩიონ საგანი თავიანთი ინტერესებისა და საჭიროებების მიხედვით, ეს განსაკუთრებით ცხადი იყო ტელე-კინო ფაკულტეტის მიმართულებაზე.

რეკომენდებულია არჩევითი საგნების ჩამონათვალის გადახედვა და მათი დივერსიფიკაცია სტუდენტების მოთხოვნის შესაბამისად, რათა მათ შეძლონ საგნის არა მხოლოდ ერთი კონკრეტული პროგრამის ფარგლებში, არამედ მომიჯნავე პროგრამებიდან არჩევა.

სასურველია, რომ სასწავლო გეგმაში ახსნილი სწავლების მეთოდები სრულად აისახოს სილაბუსებში. ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებების შემდეგ, ცხადი გახდა, რომ ეს მეთოდები სასწავლო პროცესში გამოიყენება. მაგალითად, სასწავლო გეგმის აღწერაში სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდებად წერია: „სწავლა მიმდინარეობს სწავლებისა და სწავლების შემდეგი მეთოდებითა და ფორმებით: ლექცია და პრაქტიკული სამუშაო სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებით: დემონსტრირება, დისკუსია, კითხვა-პასუხი, პრეზენტაცია.“ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, ანალიზი და სინთეზი, განმარტებითი მეთოდი;

პროგრამები ორიენტირებულია სტუდენტების საშემსრულებლო და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, რისთვისაც აქტიურად გამოიყენება რეპეტიციები, საკონცერტო წარმოდგენები, ფესტივალებში მონაწილეობა და სხვადასხვა შემოქმედებით პროექტებში ჩართვა. ამავდროულად, სასწავლო პროცესი მოიცავს მაგისტრანტთა და დოქტორანტთა დამოუკიდებელ, თვითსაგანმანათლებლო საქმიანობას, რომელიც უნდა განხორციელდეს სპეციალური ლიტერატურის ინტენსიური გაცნობითა და შესწავლით, საარქივო (ხელნაწერი) მასალების სისტემატური შესწავლით და პრაქტიკის ემპირიული გამოცდილების მიღებით კონკრეტული სამუშაო თემის ფარგლებში. ასევე, პროგრამები მოიცავს ხელნაწერებზე მუშაობას, სტუდენტების მომზადებას სხვადასხვა სპექტაკლებში

მონაწილეობისთვის (სალექციო კონცერტები, ფესტივალები და სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები) და სხვადასხვა სამეცნიერო პროექტში ჩართვას.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობა დასტურდება უსდ-ის საქმიანობით და მტკიცებულებათა/ინდიკატორების ველში მითითებული თანმხლები დოკუმენტებით.

გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება როგორც ინდივიდუალურად ასევე ჯგუფურად. ინდივიდუალური მეცადინეობების განრიგი და სასწავლო პროგრამა შეთანხმებულია თითოეულ სტუდენტთან, ასათვისებელი მასალის და სტუდენტის მზაობის თავსებადობის გათვალისწინებით.

სწავლება - სწავლის პირობები და შეფასების ფორმები მისაღებია სტუდენტებისთვის. სახელმძღვანელოები, დავალების ინსტრუქციები და ყველა საჭირო ინფორმაცია სტუდენტებს ეგზავნებათ მათ პირად ელ.ფოსტაზე. ლექციები ტარდება პირისპირ შეხვედრების ფორმატში, თუმცა, სტუდენტები აღნიშნავენ, რომ მათ აქვთ შესაძლებლობა დაუკავშირდნენ ლექტორებს არასალექციო დროსაც და ხშირად ტარდება დამატებითი გაკვეთილები სპეციალობის საგნებში. მკვლევარი სტუდენტები მაღლიერებას გამოხატავენ არასააუდიტორიო დროის შესახებ, რომელსაც თითოეული სტუდენტის ხელმძღვანელი ინდივიდუალურად ატარებს თავის სტუდენტთან სამუშაო მასალასთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად.

შენობების დეტალური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი პირობებით ორივე სასწავლო სივრცეში. თუმცა, არის აუდიტორიები, რომლებიც საჭიროებენ სარემონტო სამუშაოებს და ასევე სასწავლო აღჭურვილობის მუდმივ განახლებას, მაგრამ ეს წარმოადგენს სასწავლო პროცესის ბუნებრივ ნაწილს და დაწესებულების ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ტექნიკურ აღჭურვილობაზე და სხვა საჭირო საკითხებზე თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში.

სტუდენტებმა, ისევე როგორც მოწვეულმა და აკადემიურმა პერსონალმა, გასაუბრების პროცესში აღნიშნეს, რომ სტუდენტს აქვს სრული თავისუფლება სურვილის შემთხვევაში გაიაროს კონსულტაცია ნებისმიერ სხვა ლექტორთან, რომელიც არ არის კონკრეტულად მისი ლექტორი, დამატებითი ინფორმაციის ან რჩევის მისაღებად. აღნიშნული თვალსაზრისით, დაწესებულებაში არსებობს ჯანსაღი გარემო და პოზიტიური დამოკიდებულება სტუდენტებსა და ლექტორებს შორის.

სტუდენტებს ესაჭიროებათ არჩევითი საგნების მრავალფეროვანი ჩამონათვალი, როგორც მათი ასევე მომიჯნავე სპეციალობით, იმისათვის რომ მათ საინტერესოდ განავითარონ საკუთარი ხედვა არა მხოლოდ პროფესიული თვალსაზრისით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ვიზიტის დროს შემდგარი დისკუსიები
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა
- ფაკულტეტის რეგულაციები
- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, დაწესებულებამ გადახედოს არჩევითი საგნების სიას და უზრუნველყოს მათი გამრავალფეროვნება სტუდენტების მოთხოვნის შესაბამისად, რაც სტუდენტებს მისცემს საშუალებას აირჩიონ საგანი არა მხოლოდ ერთი კონკრეტული პროგრამის ფარგლებში, არამედ მომიჯნავე პროგრამებიდანაც.

რჩევები: - სასურველია, უნივერსიტეტმა სილაბუსებში მიუთითოს მრავალფეროვანი და განახლებული ლიტერატურა (საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე). - სასურველია, უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო პროგრამებში დააზუსტოს ინფორმაცია კრედიტების განაწილების შესახებ. - სასურველია, უნივერსიტეტმა ძირითად და არჩევით კურსებში განსაზღვროს კრედიტების რაოდენობა. - სასურველია, უნივერსიტეტმა სასწავლო გეგმაში განსაზღვრული თანამედროვე სწავლების მეთოდები სრულად ასახოს სილაბუსებში. - სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს პედაგოგიური მოდულის საგნები იმ პროგრამებში, რომლებიც ამზადებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლებს, იმისათვის, რომ სკოლაში შემსვლელი მასწავლებლები ფლობდნენ შესაბამის უნარებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.3 სწავლის შედეგების შეფასება
o უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშისა, წარმოდგენილი პროგრამების აღწერილობებისა და სილაბუსების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე შეთავაზებული 35 საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება საქართველოს კანონმდებლობისა და სტანდარტის შესაბამისად. პროგრამებში, სწავლის შედეგები წარმოდგენილია შედეგნაირად: ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომია. სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მიხედვით. თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში შეფასების სისტემა მრავალდონიანი და მრავალკომპონენტურია. სასწავლო კურსში სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით. სტუდენტის ცოდნა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ფასდება შემდეგი სქემით: (A) ფრიადი - 91-100 ქულები; (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა (C) კარგი - 71-80 წწ ქულები (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა (E) საკმარისი - 51-60 ქულა არსებობს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX)- არადამაკმაყოფილებელი - 41-50 ქულა, რაც გულისხმობს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება საგნის ჩასაბარებლად და ენიჭება უფლება გაიაროს დამატებითი გამოცდა, რისთვისაც მოემზადება დამოუკიდებლად;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმუმ 40 ქულა ან 40 ქულაზე ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ გაწეული შრომა არ არის საკმარისი და მან ხელახლა უნდა გაიაროს საგანი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა უნდა დაიგეგმოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 5 კალენდარულ დღეში. დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულა არ ემატება დამატებით გამოცდაზე მიღებულ ქულას. დამატებით გამოცდაზე მიღებული ქულა არის საბოლოო და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო ქულაში. საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებისას 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, თუკი ეს შეფასება სტუდენტმა დამატებით გამოცდაზე მიიღო, სტუდენტი იღებს F-0 ქულას.

შეფასების თითოეულ ფორმას და კომპონენტს აქვს თავისი წილი 100 ქულიანი შეფასების სქემაში. ეს ინფორმაცია მოცემულია სილაბუსებში და სტუდენტი ამის შესახებ ინფორმირებულია სასწავლო სემესტრის დასაწყისში. უნივერსიტეტის შეფასების სისტემის მიხედვით, სტუდენტის ქულა არის შუალედური და საბოლოო შეფასებების ჯამი.

მეორეს მხრივ, შუალედური შეფასება მოიცავს შუალედურ გამოცდას/შემაჯამებელ შეფასებებს ან სხვა კომპონენტებს სასწავლო კურსის მიხედვით.

საბოლოო შეფასების ფორმებია:

-დასკვნითი გამოცდა;

-შემოქმედებითი პროექტი;

-საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასება.

შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები მოიცავს შეფასების კომპონენტებს, რომლებიც განსაზღვრავს სტუდენტის მიღწეულ დონეს შემდეგ ასპექტებში: ცოდნა-გაცნობიერება, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომია. ეს ფორმებია ზეპირი/წერიითი გამოცდა, ზეპირი/წერილობითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და ა.შ. შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების მეთოდებს (ტესტი, ესე, დემონსტრაცია, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, მოხსენება, წერილობითი დავალება და ა.შ.). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით - შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც განისაზღვრება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში და თუ იგი გაიცემა ერთზე მეტი შეფასების ფორმის გამოყენებით.

უსდ-მ შეიმუშავა საკვალიფიკაციო გამოცდის შეფასების ფორმა და მარეგულირებელი დოკუმენტი. განსაკუთრებით აღსანიშნავია შემოქმედებითი პროექტი, როგორც შემოქმედებითი მიმართულების საბოლოო შეფასების ფორმა. იგი აგროვებს და ავლენს მთელ შეძენილ გამოცდილებას და სრულად აჩვენებს, რამდენად მიღწეულია სწავლის შედეგები.

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს ახლავს ინსტრუქცია კვლევითი ნაშრომის მომზადებისა და დაცვის შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ნაშრომის ყველა ძირითად მოთხოვნას, რომელიც დაკავშირებულია სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციის ტექნიკურ პარამეტრებთან, ლიტერატურის ციტირებასთან, საჯარო დაცვასთან და საკვალიფიკაციო ნაშრომის შეფასებასთან.

სწავლის შედეგები მკაფიოდ არის გაწერილი მოცემულ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში. თუმცა, სასურველია საბაკალავრო, შემოქმედებით პროგრამებზე, საკვალიფიკაციო თეორიული სამუშაოს შესრულებისას მოცემული ნაშრომი შეიცავდეს კვლევითი კომპონენტის

ელემენტებსაც, რათა სტუდენტებმა ისწავლონ სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი უნარები.

უნივერსიტეტში გამოყენებულია სადისერტაციო ნაშრომების შეფასების შემდეგი სისტემა:

- ფრიადი summa cum laude - საუკეთესო ნაშრომი;
- ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც ყოველ მხრივ აჭარბებს მოთხოვნებს;
- კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც აჭარბებს მოთხოვნებს;
- საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს;
- დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად მაინც აკმაყოფილებს მოთხოვნებს;
- არადამაკმაყოფილებელი (insufficient) - შედეგი, რომელიც არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;
- აბსოლუტურად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც საერთოდ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებია:

ქულების მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 100-ს.

I. ტექნიკური მხარე 20 ქულა

- სამეცნიერო სტანდარტებთან შესაბამისობა 5
- სტრუქტურის გამართულობა 10
- ენობრივი და სტილისტური გამართულობა 5

II. შინაარსობრივი მხარე 60 ქულა

- პრობლემის აქტუალობა 5
- კვლევის სიახლე 10
- კვლევის მეთოდოლოგიის სიცხადე 10
- განხილული მასალის შესაბამისობა თემასთან და დასაბუთებასთან 15
- კვლევის შედეგის არგუმენტაცია (დასკვნა) 15
- გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნება და სიახლე 5

III. დაცვა - პრეზენტაცია 20 ქულა

- დოქტორანტის მოხსენების გამართულობა და პრეზენტაბელურობა 10
- ლოგიკურობა, დასაბუთება და აკადემიური პერსონალისადმი მიმართვა კითხვებზე პასუხის გაცემისას 10

ჯამში 100 ქულა.

გარდა ამისა, დოქტორანტს მოეთხოვება მინიმუმ სამი სტატიის გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალებში.

დოქტორანტის დასრულებული ნაშრომი ეგზავნება შიდა ექსპერტს, რომელიც აფასებს ნაშრომს როგორც ქულების, ასევე აქტუალობის და შინაარსის მიხედვით. დამტკიცების პროცესში, სადისერტაციო ნაშრომს განიხილავს ორი რეცენზენტი და საერთაშორისო ექსპერტი. თუ დოქტორანტი ნაშრომის ერთ ნაწილს გამოაქვეყნებს საერთაშორისო ჟურნალში, იგი თავისუფლდება საერთაშორისო ექსპერტის მიერ მისი ნაშრომის შეფასებისგან. დაცვის საბოლოო პროცედურა მოითხოვს ხელმძღვანელის წერილობით ანგარიშს, პლაგიატზე გადამოწმებას და განსახილველად წარდგენას.

დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომს წარადგენს პრეზენტაციის სახით. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონია შემთხვევა, როდესაც სადისერტაციო ნაშრომი დაუბრუნდა სტუდენტს შესასწორებლად დამტკიცების შემდგომ. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე დოქტორანტს ზეპირსიტყვიერად წარუდგენს კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. სადისერტაციო ნაშრომი არ ჩაითვლება დაცულად, თუ საბოლოო შეფასება იქნება „არადამაკმაყოფილებელი“ ან „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“. დადებითი შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორის აკადემიური ხარისხი.

ნაშრომის შეფასების შედეგი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს დოქტორანტს, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს, მიმართულების ფაკულტეტის დეკანს და წევრებს.

სადისერტაციო ნაშრომი და ნაშრომის შეფასება არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი მანამ, სანამ სადისერტაციო საბჭოს მიერ არ დაინიშნება დაცვა. ნაშრომის შესაფასებლად დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების რამდენიმე ფორმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები - ვიზიტის დროს შემდგარი დისკუსიები - თვითშეფასების ანგარიში - საგანმანათლებლო პროგრამები/სილაბუსები - დოკუმენტაცია კვლევითი საქმიანობის შესახებ
რეკომენდაციები: არ ეხება
რჩევები: - სასურველია, უნივერსიტეტმა წარმოდგენილ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებში მკაფიოდ ჩამოაყალიბოს სწავლის შედეგები. - სასურველია, საბაკალავრო შემოქმედებით პროგრამებში, საბაკალავრო ნაშრომი ითვალისწინებდეს კვლევის კომპონენტის ელემენტებსაც, იმისათვის, რომ სტუდენტებმა გამოიმუშაონ სამეცნიერო საქმიანობის ელემენტარული უნარები.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა ○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მართვის პოლიტიკა წარმოდგენილია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებულ სპეციალურ დოკუმენტში (უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა). დოკუმენტი აღწერს სამუშაოს ორგანიზების პრინციპებს, პერსონალის მართვის პოლიტიკას, პერსონალის შერჩევისა და დაკომპლექტების ფორმებს, პერსონალის შერჩევისა და დაქირავების პროცესს, საკონკურსო კომისიის შექმნის წესს და მის საქმიანობას, კონკურსის გაუქმების ან შეწყვეტის საფუძვლებს, სამუშაოს აღწერას, სამუშაოს ხარისხიანი შესრულების მართვას, პროფესიული განვითარების პოლიტიკას და კარიერის მართვას, პერსონალის წახალისებისა და მოტივაციის მექანიზმებს. უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა შესაძლოა ინტერნეტში მოიძიოთ ნავიგაციის ხელსაწყოს გამოყენებით, თუმცა რთულია (ან შეუძლებელია კი) ამ დოკუმენტის მოძიება თავად უსდ-ს ვებგვერდზე. უნივერსიტეტის ვებგვერდის ძველ ვერსიაზე იძებნება კიდევ ერთი დოკუმენტი,

რომელიც პერსონალის მართვას არეგულირებს - „დამხმარე პერსონალის დასაქმების პროცედურა“.

უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულ თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია რამდენიმე დამატებითი დოკუმენტი, როგორიცაა:

- „პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის აკადემიური თანამდებობების დაკავების წესი“;
- „დრამისა და კინო-ტელე ფაკულტეტების პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის და ასისტენტის აკადემიური თანამდებობების დაკავების წესი“;
- „სახელოვნებო მეცნიერების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დაკავების წესთან დაკავშირებული ქულების მინიჭების ძირითადი მოთხოვნები“;
- „საშემსრულებლო ხელოვნების ფაკულტეტებზე (დრამა, კინო და ტელევიზია) აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების კრიტერიუმები“;
- „სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სამეცნიერო თანამდებობის დაკავების წესი“.

თუმცა ამ დოკუმენტებიდან არც ერთი უნივერსიტეტის ვებგვერდებზე (ძველსა თუ ახალზე) არ იძებნება. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესების დივერსიფიკაცია წარმოშობს ვარაუდს, რომ მოთხოვნები და დასაქმების კრიტერიუმები ამკარად განსხვავდება ფაკულტეტებს შორის. ეს დადასტურდა გასაუბრების დროს ე.წ. „თეორიული“ და „კრეატიული“ ფაკულტეტების მიმართ განსხვავებული მოთხოვნების ხაზგასმით.

ზოგადად, ნიჭი და პროფესიონალიზმი, როგორც ჩანს, გადამწყვეტი ფაქტორია აკადემიური და მოწვეული კადრების აყვანისას. რაც შეეხება ასისტენტთა დასაქმებას, პროფესორთან მათი „თავსებადობა“ იყო დასაქმების ერთ-ერთი გადამწყვეტი პრინციპი. უნივერსიტეტი კვალიფიციურ თანამშრომლებს იზიდავს და ასაქმებს, ვაკანსიების როგორც jobs.ge-ზე ასევე უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებით. უნივერსიტეტში სტრუქტურული და ორგანიზაციული ცვლილებების შემთხვევაში ხდება შიდა დაქირავება, ანუ არსებულ პერსონალს იწვევენ, რომ ახალ თანამდებობაზე შეიტანონ განაცხადი, ახლადშექმნილ სტრუქტურულ ერთეულში. ასე რომ, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის აყვანის პროცედურები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვას.

უნივერსიტეტის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი ჩართულია საგანმანათლებლო, კვლევით, შემოქმედებით და საშემსრულებლო პროცესებში. თუმცა, კონფერენციების, ვორქშოპებისა და საზაფხულო სკოლების დიდი უმრავლესობა ინიცირებული, დაფინანსებული და ორგანიზებულია გარე აქტორების მიერ (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, Erasmus+ და სხვ.) და არა უნივერსიტეტის. ასე რომ, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობა ამ ღონისძიებებში ხდება საკმაოდ სპორადულად და მთლიანად დამოკიდებულია გარე შესაძლებლობებზე და არა შიდა/ინსტიტუციონალურ ან ინდივიდუალურ ინიციატივებზე.

რაც შეეხება შემოქმედებით და საშემსრულებლო პროექტებს, ისინი ტარდება სტუდენტებთან ერთად და ემსახურება უპირატესად საგანმანათლებლო მიზნებს. ასეთი თანამშრომლობის მაგალითად აკადემიური პერსონალის წევრებმა გაიხსენეს პროფესორის ინიციატივით დადგმული სპექტაკლი. შემოქმედებით ან საშემსრულებლო პროექტებში ჩართულობის სხვა მტკიცებულება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს კვლევითი საქმიანობის (არ ჰქონდეს უშუალოდ საგანმანათლებლო ფუნქცია) ეკვივალენტად, არ იყო მოწოდებული.

ამის საპირისპიროდ, მოყვანილი იქნა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის მრავალი მაგალითი. მაგალითად, გაიზარდა მხატვრული ოსტატობის კურსზე საკონტაქტო საათები, უნივერსიტეტის ყველა სტუდენტისთვის სავალდებულო გახდა კიდევ ერთი კურსი, ყოველ საბაკალავრო ნაშრომზე დაინიშნა დამატებითი ხელმძღვანელი, რათა გაუმჯობესებულიყო მისი

თეორიული ნაწილი, გაიზარდა ეროვნულ გამოცდებზე მინიმალური ზღვარი, სხვადასხვა პროგრამის სტუდენტებს შესთავაზეს ინტეგრაციული მასტერკლასები, შეიძინეს აღჭურვილობა (ელექტრონული ფორტეპიანო, პროექტორები და ა.შ.). გამოვითხული პერსონალის თქმით, მსგავსი ცვლილებები და გადაწყვეტილებები ყოველ სემესტრში მიიღება აკადემიური პერსონალის ინიცირებით. ინიციატივები, რომლებიც ეხება როგორც აკადემიურ, ასევე ტექნიკურ საკითხებს, ჩვეულებრივ წარედგინება ფაკულტეტს ან აკადემიურ საბჭოს. გადაწყვეტილების მიღების პროცესს აძლიერებს ის ფაქტი, რომ ყველა პროფესორი არის ამა თუ იმ საბჭოს წევრი.

უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების სტრატეგია ძალიან ზოგადად ასახულია „უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკაში“ (იხ. მუხლი 10). გასაუბრების დროს გაირკვა, რომ ყველა აქტივობა (ვორკშოპები, ტრენინგები, ფესტივალები, გამოფენები და ა.შ.), რომლებიც მიზნად ისახავს უსდ-ს აკადემიური პერსონალის წევრების პროფესიულ განვითარებას, ძირითადად საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობდა.

არ არსებობს თანმიმდევრულობა აკადემიური და კვლევითი პერსონალის რეალურ საჭიროებებსა და პროფესიული განვითარების შემოთავაზებულ აქტივობებს შორის. უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული არცერთი კითხვარი არ შეიცავს კითხვებს, რომლებიც მას დაეხმარება აკადემიური პერსონალის პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირებაში. ზემოთ აღნიშნულ აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა განიხილება, როგორც ანაზღაურების ფორმა.

პერსონალის წახალისების/მოტივაციის მექანიზმები ძალიან ზოგადად არის ჩამოყალიბებული „უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკაში“ (მუხლი 11). გაურკვეველია, რა უნდა გააკეთოს უნივერსიტეტის თანამშრომელმა დაწინაურებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ასისტენტმა პროფესორმა აღიარა, რომ დისერტაციის დაცვა და აქტიური ჩართვა შემოქმედებით მუშაობაში შეიძლება იყოს უნივერსიტეტში უკეთესი თანამდებობის დაკავების წინაპირობა. ჯერჯერობით აკადემიური პერსონალის ანაზღაურებისა და წახალისების უმთავრეს პრინციპად რჩება სიტყვიერი ფორმულირება- „დასაქმებულის დადებითი ემოციური მხარდაჭერა შრომით პროცესში“.

ვერ გამოვლინდა რაიმე პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრაციას. იმის მტკიცებით, რომ ახალი თანამშრომლების უმეტესობა ან კურსდამთავრებულია ან ადამიანები, რომლებიც იცნობენ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში მუშაობის თავისებურებებს, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ვერ ხედავს ინტეგრაციის პროცედურის საჭიროებას. ახალი პერსონალის ინტეგრაცია უნდა მოხდეს თავად სახელოვნებო პროექტის საშუალებით. ხანდახან დეკანი სტუდენტებს ახალ პერსონალს პირველსავე შესაძლებლობაზე წარუდგენს. ეს უფრო პირად გადაწყვეტილებაზე დაფუძნებული პროცესია და არა სათანადოდ დაგეგმილი ინტეგრაციის მექანიზმი.

დასაქმებული პერსონალის სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს ადმინისტრაციული პერსონალის (113) მცირედით გადაჭარბებულ თანაფარდობას აკადემიურ (87) და კვლევით პერსონალთან (10) მიმართ. ყოველ შემთხვევაში, აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა ადმინისტრაციულ/დამხმარე პერსონალთან (1/1) შეესაბამება უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სამიზნე ნიშნულს. ასეა სხვა კოეფიციენტები, როგორიცაა აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან (1/4) და ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან (1/45). უნივერსიტეტის ადმინისტრაციას სურს 100%-მდე გაზარდოს აკადემიური (83%), მოწვეული (82%), ადმინისტრაციისა და დამხმარე პერსონალის (94%) შენარჩუნების მაჩვენებლები. შემდგომი განხილვის საგანი შეიძლება იყოს აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის ასაკისა და სქესის მიხედვით განაწილება. ის ფაქტი, რომ უნივერსიტეტში 17 ასისტენტია, შეიძლება ჩაითვალოს კარგ პრაქტიკად, რომელიც საშუალებას

აძლევს ახალგაზრდებს გახდნენ აკადემიის ნაწილი.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი შეფასების და კმაყოფილების კვლევის შედეგები ზოგადია და არ ჩანს რომ ისინი პერსონალის მართვაში გამოიყენება. გამოკითხვები არაპროფესიონალურად ტარდება. რიცხვებსა და დასკვნებს შორის ლოგიკური კავშირი უმეტესად ბუნდოვანია. გამოკითხვის მეთოდებისა და რესპოდენტების შესახებ ინფორმაცია (ვინ ვის ან რას აფასებს) ხშირად არ არის მოცემული, რაც შეფასების მთელ პროცესს არადამაჯერებელს ხდის. ამასთან, არ გვაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა რეაგირება მოახდინა უნივერსიტეტმა „სამიზნე ნიშნულებთან“ დაკავშირებულ რეკომენდაციაზე, რომელიც გაიცა გამოკითხვების საფუძველზე და რა იქნება შემდგომი ნაბიჯები ამ გამოკითხვების შედეგად გამოვლენილი კონკრეტული ხარვეზების გამოსასწორებლად.

გასაუბრების დროს, გამოვლინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელები ითვალისწინებენ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს და აკადემიური პერსონალის ინდივიდუალურ წევრებთან განიხილავენ სასწავლო პერსონალსა და სტუდენტებს შორის წამოჭრილ პრობლემებს. ასევე აღინიშნა, რომ სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე, ერთ-ერთი კურსის პროფესორი სხვამ ჩაანაცვლა. გამოკითხვის შედეგების გავლენის კიდევ ერთი მაგალითია, მოწვეული პერსონალის დათხოვნა. თუმცა, ეს მაგალითები შესაძლოა მომდინარეობდეს სტუდენტთა კმაყოფილების კვლევების შედეგებიდან და არა პერსონალის შეფასებიდან.

უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქციები. თითოეული თანამდებობის შესაბამისი ფუნქცია იძებნება სამუშაო აღწერილობებში. პერსონალის კვალიფიკაციები შეესაბამება მოთხოვნებს. ვაკანსიების შესახებ რეკლამები თავსდება რეგულარულად და იზიდავს ბევრ კანდიდატს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

-საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა.

-უნივერსიტეტის თანამშრომლების კმაყოფილების ანალიზი

-უნივერსიტეტის თანამშრომლების შეფასების ანალიზი

-აფილირების წესი

-აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა (ქართულად)

- დრამის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის სქემა 2023 (ქართულად)

-პერსონალის პირადი საქმეები (CV)

-პერსონალის სამუშაო აღწერილობები

-უსდ-ს ვებგვერდი

თვითშეფასების ანგარიში

-ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა წახალისოს თავისი აკადემიური და კვლევითი პერსონალი აქტიური მონაწილეობა მიიღონ კვლევით, შემოქმედებით და საშემსრულებლო პროცესებში შემოქმედებითი პროექტების ინიცირებით და მათთვის დაფინანსების შესაძლებლობების (კონკურსები, დაფინანსების მოზიდვა) მიწოდებით.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა დეტალურად შეიმუშაოს მისი პერსონალის პროფესიული განვითარების მიდგომები და სტრატეგია.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პერსონალის მართვის დღის წესრიგში გაითვალისწინოს ანაზღაურების და წახალისების წინასწარ განსაზღვრული პრინციპები, ასევე თანამშრომლების საქმიანობის შესრულების შეფასების შედეგები.

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს პროცედურა, ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრირების და მათი სამუშაო პროცესში ეფექტური ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით. - რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პერსონალის მართვის პროცესში გამოიყენოს აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების და კმაყოფილების კვლევის შედეგები.
რჩევები: - სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს წვდომა პერსონალის მართვის პოლიტიკასთან დაკავშირებულ რეგულაციებზე, იმისათვის, რომ დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ ინფორმაცია აღნიშნული პოლიტიკის და რეგულაციების შესახებ. - სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს გარკვეული ხედვა, სამიზნე ნიშნული აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის ასაკის და სქესის მიხედვით განაწილებასთან დაკავშირებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა
o აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამებსა და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ასევე მათზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტს ჰყავს სხვადასხვა ტიპის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებიც დაქირავებულნი არიან საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი სკოლის სპეციფიკური მიზნების გათვალისწინებით. აკადემიური პერსონალისთვის არსებობს დატვირთვის სქემა. ეს ხელს უწყობს პროფესორის ძალისხმევასა და მიღწევების მონიტორინგს რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ: სწავლება, შემოქმედებითი მუშაობა, კვლევა და ადმინისტრაციული საქმიანობა. უნივერსიტეტის ფაკულტეტზე დატვირთვის ანალიზის შესწავლისას აღმოჩნდა გარკვეული შეუსაბამობა: ზოგიერთ თანამშრომელს აქვს დამატებითი დატვირთვა, ხოლო დანარჩენები (ამ ფაკულტეტის შემთხვევაში 41-დან 17) ვერ აგროვებენ საჭირო დატვირთვის ქულებს; კვლევაში ჩართულია მხოლოდ 8 პროფესორი, მათგან 25 ძირითადად შემოქმედებით, ხოლო 23 – ადმინისტრაციულ საქმიანობას ეწევა. დამატებითი სამუშაოს ფინანსური ანაზღაურების შესახებ შეკითხვას უარყოფითი პასუხი გაეცა, ანუ დატვირთვის ოდენობა არ მოქმედებს ხელფასზე. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წევრების თქმით, დატვირთვის ვარიაცია განისაზღვრება აკადემიური პერსონალის კომპეტენციითა და კვალიფიკაციით. მიუხედავად იმისა, რომ სხვა უნივერსიტეტებში დასაქმებით გამოწვეული სემესტრული დატვირთვის გადაჭარბება კონტროლდება QMS მონაცემთა ბაზაში დატვირთვის ინფორმაციის განახლებით, ხსენებული შეუსაბამობა მაინც შეიძლება მიაწინებდეს სამუშაოს არათანაბარ განაწილებაზე, კოლეგების მიმართ განსხვავებულ მიდგომებზე, ან კონკრეტულ სფეროებში კადრების ნაკლებობაზე.

ინტერვიუებში აკადემიური პერსონალის წევრებმა გამოთქვეს გარკვეული შემოთავაზებები დატვირთვის სქემაში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით. მათ მიაჩნიათ, რომ მათი საქმიანობის ყველა ასპექტი ვერ აისახება მათი დატვირთვის ანგარიშებში. ისინი ასევე მიესალმებიან გარკვეულ კურსებზე ერთად სწავლების შესაძლებლობას, რადგან საშემსრულებლო ხელოვნება მიზნად ისახავს კოლექტიური შემოქმედებითი პროდუქტების შექმნას. აშკარაა, რომ არსებობს დატვირთვის სქემის განახლების გადაუდებელი საჭიროება.

ფაკულტეტის ადმინისტრაცია აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობას გეგმავს პროგრამის მოთხოვნებისა და მისი შინაარსის, დატვირთვის მოცულობისა და საბიუჯეტო შესაძლებლობების საფუძველზე.

შესაბამისი კოეფიციენტები, როგორც ჩანს, ადეკვატურად შეესაბამება უნივერსიტეტის მოთხოვნებს:

- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისა და პროგრამების თანაფარდობა (5/1);;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალისა და სტუდენტთა თანაფარდობა (1/4);
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის - მოწვეული პერსონალის თანაფარდობა (1/1);
- აფილირებული აკადემიური პერსონალის - მთლიანი აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა (1/2);
- აფილირებული აკადემიური პერსონალის - სტუდენტების თანაფარდობა (1/8).

მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების მიხედვით პერსონალის 87-ვე წევრი აფილირებულია, ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მოცემული რიცხვები არ არის ზუსტი, რადგან ზოგიერთი პროფესორი, როგორც ჩანს, არ არის აფილირებული. ინტერვიუების დროს მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, აფილირების პირობები და წესები უნდა იყოს აღწერილი თითოეული ხელშეკრულების დანართში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს გამოითხოვა აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც მოწოდებულ იქნა დაწესებულების მიერ. აკადემიური პერსონალის წევრებმა, როდესაც მათ ჰკითხეს აფილირების პირობებისა და წესების შესახებ, განმარტეს, რომ აფილირება ავალდებულებდა მათ ძირითადად უნივერსიტეტში ყოფილიყვნენ დასაქმებულები (დატვირთვის თვალსაზრისით), არ ჰქონოდათ აკადემიური თანამდებობა რომელიმე სხვა უნივერსიტეტში და თავიანთი შემოქმედებითი ნამუშევრები დაეკავშირებინათ უნივერსიტეტთან. ამასთან, აფილირებულმა პროფესორებმა განაცხადეს, რომ მათ ენიჭებათ პრიორიტეტი სხვადასხვა საქმიანობის დაფინანსებისას, როგორიცაა ფესტივალებში, კონფერენციებსა და სემინარებში მონაწილეობა.

უნივერსიტეტის მიერ თავისი პერსონალისთვის დადგენილი სტანდარტები შეესაბამება არსებულ სიტუაციას და აშკარად ადეკვატურია საგანმანათლებლო და შემოქმედებითი საქმიანობის განსახორციელებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა (ქართულ ენაზე)
- დრამის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის დატვირთვა 2023 წელს (ქართულ ენაზე)
- პერსონალთან კონტრაქტის ნიმუშები;
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტი შეეცადოს მიაღწიოს ან გააუმჯობესოს მისი პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს სამიზნე ნიშნულები;
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა აკადემიური პერსონალის უკუკავშირის საფუძველზე უზრუნველყოს სამუშაო დატვირთვის სქემის განახლება რეგულარულ რეჟიმში.

რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება დაუთმოს აფილირების წესებს და პირობებს, აფილირებული აკადემიური პერსონალის მთლიანი რაოდენობის ზუსტად აღრიცხვას და

აფილირების წესების და პირობების ხელშეკრულებებში ასახვას.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს ექმნას; სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, კარიერული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს; ასევე უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს უმაღლესი განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებული ყველა საჭირო მარეგულირებელი დოკუმენტაცია. სტუდენტებთან და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებთან გასაუბრებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მათ იციან თავიანთი უფლებები და სხვადასხვა სახის პროცედურები, უფრო მეტიც, სტუდენტებს გაცნობითი ხასიათის შეხვედრებზე აწვდიან ინფორმაციას მათი უფლებების და სასწავლო პროცესის შესახებ და უზაფხიან კონკრეტულ დოკუმენტაციას. გაცნობითი ხასიათის შეხვედრებში განსაკუთრებით აქტიურად მონაწილეობენ სტუდენტური თვითმმართველობის წევრები (შეხვედრები 3.3; 3.7; 3.8). სტუდენტური ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას სტუდენტების და უნივერსიტეტის უფლებების და მოვალეობების შესახებ. ასევე, უნივერსიტეტი სტუდენტებს აწვდის დოკუმენტაციას გასაჩივრების, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის და შეჩერების პროცედურების შესახებ. აღნიშნული ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის და მათი უმეტესობა განთავსებულია და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები - გასაუბრება სტუდენტებთან; - გასაუბრება სტუდენტურ თვითმმართველობასთან - მარეგულირებელი დოკუმენტები. - უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები: არ ეხება
რჩევები: არ ეხება
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები ○ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. ○ უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებასა და ჩართულობას საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს. ○ უსდ-ში მოქმედებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ თითოეულ პროგრამას ჰყავს საკუთარი კოორდინატორი, რომელიც მხარს უჭერს სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტუდენტებს აწვდის ანონიმურ კითხვარებს, რათა შეაფასონ მათ მიერ შესწავლილი საგნები და ლექტორები. ამ კითხვარებში, რომლებიც იგზავნება ყოველი სემესტრის შემდეგ, სტუდენტებს შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები ლექტორებისა და საგნების შესახებ და გაუზიარონ თავიანთი პრობლემები. ამის შემდეგ, ეს შედეგები ეგზავნებათ ლექტორებს და მათაც შეუძლიათ ნახონ კომენტარები და მონაცემები და შეიტანონ გარკვეული ცვლილებები მათ მიერ სწავლებულ საგანში. თუმცა, სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ ისინი ჩვეულებრივ პირდაპირ ურთიერთობენ ლექტორებთან, თუ მათ რაიმე პრობლემები ან საკითხები აქვთ. სტუდენტების მიერ კითხვარებში ნახსენები რეკომენდაციების შედეგად გარკვეული ცვლილებები განხორციელდა; სტუდენტებს სურდათ სასადილო და ახლა მათ აქვთ ის, ამასთან, სასადილოში გაყიდული პროდუქტების ფასები მათთვის ხელმისაწვდომია; სტუდენტებს აქვთ სტუდენტური პორტალი, სადაც მათ შეუძლიათ ნახონ სილაბუსები, გამოცდების თარიღები და შედეგები, მაგრამ ეს ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ კომპიუტერის მეშვეობით, ახლა კი მათთვის ხელმისაწვდომია მობილური ტელეფონებით სამართავი ვერსიაც. რაც შეეხება საკონსულტაციო საათებს, ისინი არ არის მითითებული სილაბუსებში, მაგრამ სტუდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მათ შეუძლიათ მიიღონ საჭირო ინფორმაცია როცა მოისურვებენ, შეუძლიათ შეხვდნენ ლექტორებს და მიიღონ შესაბამისი დახმარება მათგან ნებისმიერ დროს. იგივე ინფორმაცია დაადასტურეს ლექტორებმა და კურსდამთავრებულებმაც. ამჟამად უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს კარიერული მხარდაჭერის სერვისებს საზოგადოებასთან ურთიერთობის და საერთაშორისო პროგრამების სამსახურების დახმარებით. აღნიშნული სამსახურები სტუდენტებს აწვდიან სასარგებლო ინფორმაციას დასაქმების

შესაძლებლობების შესახებ სოციალური მედიის და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით და საჭიროების შემთხვევაში უწევენ დამატებით კონსულტაციებს დასაქმებასთან დაკავშირებით. კურსდამთავრებულებმა ასევე აღნიშნეს, რომ ისინიც იღებენ აღნიშნული სახის მხარდაჭერას. აღნიშნული კონსულტაციების დახმარებით სტუდენტებს საშუალება ეძლევათ მოიძიონ შესაბამისი სტაჟირების ობიექტები. კურსდამთავრებულებმა ასევე აღნიშნეს, რომ სოციალური მედიის ჯგუფების მეშვეობით ისინი რეგულარულად იღებენ ინფორმაციას დასაქმების შესახებ, ასევე აღნიშნულ ინფორმაციას მათ აწვდიან თავად ლექტორებიც.

უნივერსიტეტი იღებს უკუკავშირს დამსაქმებლებისგან მათი სტუდენტების შესახებ, რეგულარულ რეჟიმში ხორციელდება შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან მათი მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით და ფორმდება ხელშეკრულებები. უნივერსიტეტი ასევე ხელს უწყობს სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო პროექტებში.

სტუდენტებს კონფერენციებისა და პროექტების შესახებ ინფორმაციას აწვდიან სოციალური მედიის საშუალებით და იგივე ინფორმაცია ეგზავნებათ მათ უნივერსიტეტის ელფოსტის მეშვეობით.

სტუდენტური თვითმმართველობა აქტიურია. ისინი აწყობენ სხვადასხვა ღონისძიებას უნივერსიტეტში. სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები ხვდებიან სტუდენტებს და განიხილავენ მათ პრობლემებს, შემდეგ თანხმდებიან საკითხის მნიშვნელობაზე და შემდეგ განიხილავენ ამ საკითხებს ადმინისტრაციასთან. პროცედურები იგივეა, როდესაც სტუდენტებს აქვთ ინოვაციური იდეები სხვადასხვა პროექტისა თუ ღონისძიების შესახებ. სტუდენტურმა თვითმმართველობამ აღნიშნა, რომ რადგან უნივერსიტეტს ორი შენობა აქვს, სტუდენტებს არ ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობა, ამიტომ მათ გადაწყვიტეს ერთად მოეწყოთ პროექტები და გაეზიარებინათ განრიგიც, რათა ორივე შენობის სტუდენტები ერთმანეთს გაცნობოდნენ. შეხვედრის დროს ნათელი იყო, რომ სტუდენტური თვითმმართველობის გუნდის წარმომადგენლები იცნობენ თავიანთ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს და აქტიურად არიან ჩართულნი საგანმანათლებლო პროცესში. ისინი დამოუკიდებლობა არიან ფინანსების მხრივ და ერთად მუშაობენ სამომავლო პროექტების გეგმებზე.

სტუდენტებს ასევე აქვთ თავიანთი კინოკლუბი, სადაც მათ შეუძლიათ ერთად უყურონ ფილმებს და განიხილონ ისინი, ლექტორებიც ესწრებიან ამ სესიებს და ერთვებიან განხილვაში.

სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ სტიპენდიებითა და სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სქემით. სოციალურად დაუცველ სტუდენტებს ასევე შეუძლიათ ისარგებლონ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული გარკვეული შეღავათებით. სოციალურად დაუცველ სტუდენტებს უნივერსიტეტი სთავაზობს სხვადასხვა სახის მხარდაჭერას, როგორცაა: სოციალურად დაუცველი სტუდენტები თავისუფლდებიან სწავლის გადასახადისგან; ხორციელდება გადახდის თარიღების გადავადება და ინდივიდუალური გადახდის სქემის შეთავაზება.

სტუდენტებს შეუძლიათ ბიბლიოთეკაში ისარგებლონ თავიანთი სახელმძღვანელოებით, მათ ასევე აქვთ ელექტრონული ვერსიები, რომლებზეც წვდომა შეუძლიათ თავიანთი სტუდენტური კოდებით.

თუმცა, სტუდენტებთან შეხვედრისას მათ ხაზი გაუსვეს რამდენიმე სფეროს, რომელთა გაუმჯობესებაც სურთ. ერთ-ერთი იყო ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსების ნაკლებობა, მიუხედავად იმისა, რომ ლექტორები ხშირად ამზადებენ მასალებს და თავად თარგმნიან მათ. კიდევ ერთი არასასურველი ასპექტი იყო პრაქტიკული ოთახების არასაკმარისი რაოდენობა. როგორც სტუდენტებმა თქვეს, მათ უნდა შეამოწმონ, არის თუ არა ოთახები ხელმისაწვდომი და შემდეგ წინასწარ დაჯავშნონ ისინი. ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ოთახები უნდა გაუმჯობესდეს, ინფრასტრუქტურა არც თუ ისე კარგ მდგომარეობაშია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები - გასაუბრება სტუდენტებთან - ინტერვიუ ადმინისტრაციასთან და ლექტორებთან - გასაუბრება სტუდენტურ თვითმმართველობის წარმომადგენლებთან - კონტრაქტის ნიმუშები; - დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდამჭერი დოკუმენტები
რეკომენდაციები: არ ეხება
რჩევები: - სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ქართულენოვანი სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა; - სასურველია, სტუდენტებისთვის სილაბუსებში საკონსულტაციო საათების მითითება.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მისი ტიპისა და კონკრეტული დარგ(ებ)ის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1 კვლევითი საქმიანობა ○ უსდ, მისი ტიპისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ხელოვნების მიმართულების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვს ქვეყნის ხელოვნებისა და კულტურის განვითარებაში. უნივერსიტეტის სპეციფიკა წარმოდგენილია სამ ფაკულტეტზე, სადაც ხორციელდება საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობა (დრამის ფაკულტეტი, კინო-ტელე ფაკულტეტი, ხელოვნებათმცოდნეობის, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი). აღსანიშნავია, რომ დრამისა და კინო-ტელე ფაკულტეტები ორიენტირებულია სამხატვრო/შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებაზე, ხოლო ხელოვნებათმცოდნეობის, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, რომ დრამისა და კინო-ტელე ფაკულტეტები ახორციელებენ კვლევით საქმიანობას ხელოვნებათმცოდნეობის, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტთან კორელაციაში. ნორმატიული დოკუმენტაცია, რომელიც წარმოადგინა უნივერსიტეტმა, თვითშეფასების ანგარიშში და

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ:

- უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის სტრატეგია;
- უნივერსიტეტი ახორციელებს შემოქმედებით საქმიანობას;
- უნივერსიტეტი ახორციელებს კვლევით საქმიანობას.

ინტერვიუების შედეგები და წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა გააძლიერა მუშაობა სამეცნიერო მიმართულებით:

- შეიქმნა სამეცნიერო სტრატეგია;
- შედგენილი იქნა საკმაოდ შთამბეჭდავი ნორმატიული დოკუმენტაცია;
- დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობები;
- შემუშავდა სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების მეთოდი.

თვითშეფასების ანგარიშში დეტალურად არის აღწერილი უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული სამეცნიერო და შემოქმედებითი საქმიანობა, რომელთაგან მნიშვნელოვანია შემდეგი:

- ხელოვნების მკვლევართა საერთაშორისო კონფერენცია, რომელმაც 2020 წელს საერთაშორისო სტატუსი მიიღო. გარდა ამისა, კონფერენციის მასალები ქვეყნდება კრებულის სახით, რომელიც ასევე ინდექსირებულია საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში; კრებულს ჰყავს საერთაშორისო სარედაქციო საბჭო; წარმოდგენილი მასალები იბეჭდება ორ ენაზე - ქართულად და ინგლისურად.
- დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომების კრებული (ხელოვნების კვლევები) Art Studies, რომელიც გამოიცემა უნივერსიტეტის გამომცემლობაში, გამოდის წელიწადში ერთხელ, აერთიანებს დარგის მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომებს და ჟურნალს ასევე ჰყავს საერთაშორისო სამეცნიერო საბჭო.

აღნიშნულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას და სამეცნიერო შრომების კრებულს მნიშვნელოვანი წვლილი შექვს ხელოვნების სფეროების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში, იმდენად, რამდენადაც: რეგულარულად იქმნება სამეცნიერო პროდუქტი, რომელიც ერთი მხრივ, ემსახურება ხელოვნების დარგების შესწავლას; მეორე მხრივ, საშუალებას აძლევს უნივერსიტეტის აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს გაუზიარონ და წარუდგინონ თავიანთი კვლევის შედეგები ფართო საზოგადოებას.

ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ ახალი სახელმძღვანელოების შექმნას; ეს უდავოდ უნდა ჩაითვალოს დადებით ტენდენციად, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, არსებობს ქართულენოვანი სახელმძღვანელოების ნაკლებობა; ეს ფაქტი დაადასტურეს სტუდენტებმაც ინტერვიუების დროს. მოცემული დისციპლინის ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელოები არის სასწავლო-სამეცნიერო პროდუქტი და ემსახურება კონკრეტული საგნის შესწავლას.

უმჯობესი იქნებოდა, თუ ამ მნიშვნელოვან საქმიანობასთან ერთად უნივერსიტეტის სამეცნიერო-აკადემიური პერსონალი უფრო მეტად ჩაერთვებოდა კვლევით საქმიანობაში; არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სამეცნიერო აქტივობებით (კონფერენციები, კრებულები). ეს ნაბიჯები კიდევ უფრო შთამბეჭდავს გახდიდა დაწესებულების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი ახორციელებს სადოქტორო პროგრამებს.

დოქტორანტურის პროგრამების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების დეპარტამენტი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს, იმდენად, რამდენადაც 8 სადოქტორო პროგრამის განხორციელება რთული იქნებოდა ცალკე სტრუქტურული ერთეულის გარეშე. სამაგისტრო და დოქტორანტურის დეპარტამენტი თავის საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტში დადგენილი წესით, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით და გასაუბრების შედეგებით.

უნივერსიტეტს აქვს კარგად განსაზღვრული ხედვა სადოქტორო პროგრამების ფუნქციონირებისთვის, რაც გამოიხატება შემდეგში: ხელს უწყობს სადოქტორო კვლევებს და ზრუნავს ეფექტურობის გაზრდაზე; შემოიღო სასარგებლო და მისასალმებელი პრაქტიკა - დაცული დისერტაციების გამოქვეყნება საკუთარ გამომცემლობაში მონოგრაფიების სახით (საუკეთესო ნაშრომებს რეკომენდაციას უწევს სადისერტაციო საბჭო); ხელს უწყობს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის სტუდენტების ჩართვას გაცვლით პროგრამებში; ცდილობს მოამზადოს და მოიზიდოს დოქტორანტები, როგორც ახალი კადრები და ასევე ახალისებს დოქტორანტების მონაწილეობას საგრანტო პროექტებში, რაც დადასტურდა ინტერვიუს შედეგებით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის პროფესორამ დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრა კვლევითი მიმართულებები და სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც რეგულარულად ქვეყნდება როგორც ქართულ, ასევე უცხოურ სამეცნიერო გამოცემებში. გასაუბრებების დროს აღინიშნა, რომ კვლევის შედეგები გათვალისწინებულია სასწავლო პროცესში ამა თუ იმ დისციპლინის სილაბუსებში, რაც დასტურდება უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან, თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუს შედეგებიდან ნათელი ხდება, რომ უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს მუშაობა სადოქტორო სწავლების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია (ამ მიმართულებისა და სპეციფიკის) ტოვებს კარგ შთაბეჭდილებას, ინტერვიუს შედეგებით (როგორც დოქტორანტებთან, ასევე მათ სამეცნიერო ხელმძღვანელებთან) და დაცული დისერტაციების განხილვით ნათელი ხდება, რომ საჭიროა დამატებითი ტრენინგები როგორც დოქტორანტებისთვის, ასევე მათი სამეცნიერო ხელმძღვანელებისთვის კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული "წერილობითი ნაშრომის შესრულების სტანდარტი". დოქტორანტებს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგები შემდეგ საკითხებზე: საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმატი და ძირითადი მახასიათებლები; ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის საკითხები; კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია; კვლევის თეორიული ჩარჩოს სპეციფიკა; სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც ხელს შეუწყობს ნაშრომების კიდევ უფრო მაღალ ხარისხს. ხელმძღვანელებმა უნდა განახორციელონ დოქტორანტების მიერ შესრულებული კვლევის კომპონენტების მკაცრი მონიტორინგი, ხოლო დისერტაციის წარდგენისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დისერტაციის ფორმალურ მხარეს და დადგენილ სტანდარტთან შესაბამისობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუს შედეგებიდან ნათელი ხდება, რომ საანგარიშო პერიოდში უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ (უსდ) შეიმუშავა დისერტაციების შეფასებისა და დაცვის საჯარო, მკაცრი და სამართლიანი პროცედურები, რომლებიც შეესაბამება დარგის სპეციფიკას. ეს პროცედურები გაწერილია სადისერტაციო საბჭოს დებულებაში ისევე, როგორც ნაშრომების განხილვისა და შეფასების წესებში. შეფასების პროცესი შემდეგნაირად მიმდინარეობს:

- ნაშრომის განხილვა დარგობრივ სექციაში;
- დარგობრივი სექციის ექსპერტის შეფასება-დასკვნა დისერტაციაზე;
- ორი ოპონენტის რეცენზია;
- უცხოელი ექსპერტის რეცენზია;
- დარგობრივი სადისერტაციო კოლეგიის შეფასება.

თითოეულ შეფასებას აქვს უარყოფითი ნიშნული, რომლის შემდეგაც სტუდენტი ვერ გადავა შემდეგ ეტაპზე. უცხოელი ექსპერტის ჩართულობა სარეცენზიო პროცესში დადებითად უნდა შეფასდეს, იმდენად, რამდენადაც ეს ხელს შეუწყობს სადოქტორო სწავლების ინტერნაციონალიზაციის პროცესს. თუმცა, ბუნდოვანი საკითხი დარჩა როგორ ხდება ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ქართულ ენაზე დაწერილი საკვალიფიკაციო ნაშრომის რეცენზირება უცხოელი ექსპერტის მიერ.

ინტერვიუების დროს გაცემული იყო სხვადასხვა პასუხი, ზოგმა თქვა, რომ ავტორეფერატი თარგმნილია და მას აფასებს ექსპერტი, ზოგიერთმა აღნიშნა, რომ ნაშრომის გარკვეული ნაწილი ითარგმნება. ვინაიდან

საკვალიფიკაციო ნაშრომის სპეციფიკა განსაკუთრებულია (რეცენზირებისას ფასდება სრული ნაშრომი თავისი კომპონენტებით) და მხოლოდ ავტორეფერატი ან გარკვეული ნაწილების შეფასება არ არის საკმარისი, უცხოელი ექსპერტის ჩართულობა სარეცენზიო პროცესში ფორმალურ ხასიათს ატარებს. კურსდამთავრებულებმა და ამჟამინდელმა დოქტორანტებმა განაცხადეს, რომ მათ არასდროს უგრძნიათ უსამართლობა ამა თუ იმ კომპონენტის შეფასების პროცესში და მათ მიაჩნიათ, რომ მათი შეფასებები ყოველთვის იყო საჯარო გამჭვირვალე და სამართლიანი. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრების შედეგებიდან დგინდება, რომ უნივერსიტეტში მოქმედი სადისერტაციო ნაშრომების შეფასების და დაცვის სისტემა სრულად შეესაბამება დარგის სპეციფიკას, საჯაროა, გამჭვირვალეა და სამართლიანი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში. -აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის 2018-2024 წლების სამეცნიერო საქმიანობის ანგარიში - სამეცნიერო საქმიანობის სტრატეგია და მეცნიერული პროდუქტიულობის შეფასების წესები - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შეფასების წესი. - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმები და ფინანსური დებულებები - ხელოვნების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გეგმა - 2024 წ. - დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის წლიური სამოქმედო გეგმა და წლიური ანგარიშები; - უნივერსიტეტში 2018-2023 წლებში დაცული დისერტაციების ჩამონათვალი - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო/სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელობის წესი. - სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო და სადისერტაციო საბჭოს დებულება. - უნივერსიტეტის ვებსაიტი - ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: - რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა სისტემატურ რეჟიმში უზრუნველყოს სამეცნიერო ხელმძღვანელების და დოქტორანტების მომზადება საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმატსა და ძირითადი მახასიათებლებთან დაკავშირებით. - რეკომენდებულია, რომ ყველა სადისერტაციო ნაშრომი შეესაბამებოდეს უსდ - ს მიერ დადგენილ „წერითი ნაშრომის შესრულების სტანდარტს“.
რჩევები: - სასურველია, რომ უნივერსიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შესავალი ნაწილის სტრუქტურას, სამეცნიერო ნაშრომში მკაფიოდ უნდა იკვეთებოდეს კვლევის თეორიული ჩარჩო, მეთოდები და მეთოდოლოგია, ლიტერატურის მიმოხილვა, სამეცნიერო სიახლე და კვლევის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, ასევე დაცული უნდა იყოს ციტირების სტანდარტი; - სასურველია, უნივერსიტეტმა ჩაატაროს ფუნდამენტური კვლევები, რომელიც შეიტანს წვლილს ეროვნულ/საერთაშორისო დონეზე; - სასურველია, უნივერსიტეტმა საგანმანათლებლო საქმიანობაში გაითვალისწინოს უსდ - ს აკადემიური / სამეცნიერო პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგები. - სასურველია, უნივერსიტეტმა ზედმიწევნით განსაზღვროს სამეცნიერო ხელმძღვანელის უფლება - მოვალეობები, ასევე განახორციელოს შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება

შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია ☐ უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა. ☐ ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით და სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში. ☐ უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოკუმენტაციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშისა და ინტერვიუების პროცესის თანახმად, დადგინდა, რომ საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტი მუშაობდა კვლევების განვითარებისა და სახელოვნებო საქმიანობის მხარდაჭერის მექანიზმების ეფექტური სისტემის შექმნაზე, რაც რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტაციით. აფილირებული, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი, ასევე დოქტორანტები და მაგისტრანტები ჩართულნი არიან სამეცნიერო/სახელოვნებო საქმიანობაში, რომელიც სხვადასხვა შემთხვევაში ფინანსდება უნივერსიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი მხარს უჭერს ახალგაზრდა მკვლევრებს გრანტების მოზიდვაში, საანგარიშო პერიოდში რუსთაველის ფონდმა დააფინანსა სამი დოქტორანტის საგრანტო პროექტი. ინტერვიუების პროცესმა და წარმოდგენილმა დოკუმენტაციამ დაადასტურა, რომ: - უნივერსიტეტი სისტემატურად ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს როგორც პროფესორებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის; - დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელები მხარს უჭერენ დოქტორანტებს საგრანტო წინადადებების შემუშავებაში; - უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობას გაცვლით პროგრამებში; - უნივერსიტეტი მხარს უჭერს სამეცნიერო და აკადემიურ პერსონალს სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებაში (კრებულები და ჟურნალები, რომლებიც ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბაზაში). პერსონალის მომზადებისა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მათი ჩართვის მხარდაჭერა უსდ-ის დადებით ტენდენციად უნდა ჩაითვალოს. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის თანამშრომელთა დიდი ნაწილი თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. ინტერვიუების პროცესმა დაადასტურა, რომ როტაციის პოლიტიკა პრიორიტეტული საკითხია. პროფესორებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ახალი კადრების მოზიდვა და მათი ჩართვა უნივერსიტეტის ცხოვრებაში მნიშვნელოვანია მათთვის უნივერსიტეტის მდიდარი ტრადიციების გასაგრძელებლად. საანგარიშო პერიოდში უნივერსიტეტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა კვლევებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციისკენ. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია სრულად დადასტურდა ინტერვიუების მსვლელობისას: - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის, ასევე კულტურისა და სპორტის სამინისტროების მხარდაჭერით, ხელოვნების მკვლევართა კონფერენციამ საერთაშორისო სტატუსი მიიღო, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ოთხი (წელიწადში ერთხელ) კონფერენცია. მნიშვნელოვანია, რომ კონფერენციის მასალები გამოქვეყნდა კრებულების სახით; - "ხელოვნებისა და მედიის კვლევების საერთაშორისო კრებული" ("International Collection of Art and Media Studies") არის ორენოვანი პერიოდული გამოცემა საერთაშორისო სტატუსით, სადაც ქართველ მეცნიერებთან ერთად უცხოელი მკვლევრებიც აქვეყნებენ თავიანთ ნაშრომებს. მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალი

ინდექსირებულია როგორც ევროპულ საბიბლიოთეკო ბაზებში, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიურ/სამეცნიერო პერსონალსა და დოქტორანტებს საერთაშორისო საგრანტო დაფინანსების მოპოვებაში, მუდმივად აწვდის ინფორმაციას სხვადასხვა პროექტის შესახებ, ასევე ეხმარება საპროექტო წინადადებების შემუშავებაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი ცდილობს დოქტორანტების დაკავშირებას უცხოურ კვლევით ცენტრებთან და უცხოელი პროფესორების ჩართვას დოქტორანტების კვლევის კონსულტანტებად. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობები განხორციელდა პროფესორების ინდივიდუალური ძალისხმევით, საგრანტო კონკურსების მეშვეობით და უნივერსიტეტის ჩართულობით.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის განვითარების სტრატეგიის არსებობა დოკუმენტურად დასტურდება და აკადემიური, სამეცნიერო პერსონალი, ასევე სტუდენტები (მაგისტრანტები-დოქტორანტები) ჩართულნი არიან სამეცნიერო საქმიანობაში, უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის მეტი ძალისხმევაა საჭირო.

კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისა და საერთაშორისო მასშტაბის მისაღწევად, უნივერსიტეტმა უნდა დანერგოს თანამშრომლობითი მიდგომა სტრუქტურულ ერთეულებს შორის. მაგალითად, საერთაშორისო დეპარტამენტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და სადოქტორო და სამაგისტრო სწავლების დეპარტამენტის ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია უფრო ეფექტური ღონისძიებების გატარება. მაგალითად, კონკრეტულმა სტრუქტურულმა ერთეულმა უნდა იმუშაოს დარგობრივი ჟურნალების მოძიებაზე, რომლებიც ინდექსირებულია Scopus-ში, Web of Science-სა და სხვა მნიშვნელოვან სამეცნიერო ბაზებში.

უნდა შემუშავდეს წამახალისებელი სისტემა აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და დოქტორანტებისთვის, რათა ისინი დაინტერესდნენ და მოამზადონ მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქტი. ამ პროდუქტის თარგმნა, ჟურნალის შესაბამისი სტანდარტი, ფინანსური საკითხი კვლავ უნდა უზრუნველყოს შესაბამისმა სამსახურმა, რაც ნაბიჯ-ნაბიჯ მნიშვნელოვან შედეგებს მოიტანს. ასევე, დოქტორანტებისა და მათი სამეცნიერო ხელმძღვანელების ერთობლივი კვლევა სასარგებლო იქნება ინტერნაციონალიზაციისა და ახალი კადრების მოზიდვის თვალსაზრისით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ადამიანურ რესურსებს, რომელთა სამეცნიერო პროდუქტები, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას და, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს საერთაშორისო ცნობადობას.

უნივერსიტეტმა უნდა განახორციელოს ღონისძიებები, რათა პერსონალმა უფრო მეტად მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში და არ შემოიფარგლოს მხოლოდ უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სამეცნიერო ჟურნალებითა და სამეცნიერო კონფერენციებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები
- საერთაშორისო განყოფილების დებულებები
- აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის 2018-2024 წლების სამეცნიერო საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში
- 2018-2023 წლებში განხორციელებული საუნივერსიტეტო ღონისძიებებისა და სამეცნიერო აქტივობების ჩამონათვალი ანოტაციებით;
- დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული და მიმდინარე კვლევების სტატისტიკა 2018-2023 წლებში.
- მეცნიერული საქმიანობის სტრატეგია და სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების მეთოდი
- საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შეფასების წესი.
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები: - რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სამეცნიერო კვლევის განვითარების და მოტივაციის მოქნილი სისტემა. - რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს ისეთ პერსონალს, რომელთა სამეცნიერო პროდუქტი, ერთის მხრივ, ხელს უწყობს დარგის განვითარებას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს საერთაშორისო აღიარებას (ამ კუთხით მათ შეუძლიათ მოიზიდონ ახალი სამეცნიერო კადრებიც).
რჩევები: - საერთაშორისო აღიარების მოპოვების მიზნით, სასურველია უნივერსიტეტის სამეცნიერო და აკადემიურმა პერსონალმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო საქმიანობაში და არ შემოიფარგლონ უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო ჟურნალებით და კონფერენციებით. - სასურველია, უნივერსიტეტმა გაზარდოს კვლევით საქმიანობაში მისი ჩართულობის ეფექტურობა. - სასურველია, უნივერსიტეტმა ხელი შეუწყოს დაფინანსების მოზიდვის ეფექტურ ადმინისტრირებას.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ ეხება
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება
